С позиций сформулированного критерия, в структуре эффективности социалистического производства, по-видимому, должен быть выделен региональный уровень эффективности производства. Региональная эффективность есть специфический уровень эффективности социалистического производства, отличный от народнохозяйственного и хозяйственного уровня при их внутреннем диалектическом единстве. Такая зависимость региональной и народнохозяйственной эффективности производства объясняется главным образом органической целостностью способа производства, означающего возрастание роли интегративного свойства экономической системы социализма,

¹⁰ К основным в условиях социализма относятся интересы общества в целом и отдельных работников. Интерес коллектива предприятия выступает как особенное, как форма единства двух первых (См.: Радаев В. В. Экономические интересы при социализме. М. 1971, с. 273). Поэтому коллективный интерес также является сущностным.

¹¹ Маркс К., Энгельс Ф. Соч., 2-е изд., т. 3, с. 31.

связанного в первую очередь с сущностью основного производственного отношения и действием основного экономического закона социализма.

Мы полагаем, что в системе экономических отношений можно выделить следующие структурные уровни эффективности общественного производства:

- 1) народнохозяйственный уровень эффективности социалистического производства;
- 2) хозрасчетный уровень эффективности социалистического производства;
- 3) региональный уровень эффективности социалистического производства.

Наличие уровней эффективности и их определенная субординация в общей структуре эффективности общественного производства обуславливает существование субординированной системы критериев эффективности, различных форм и аспектов ее проявления, разработка которых позволит управлять эффективностью и осуществлять планомерное, пропорциональное развитие экономики.

Таким образом, эффективность, будучи отражением сложной многоуровневой структуры социалистических производственных отношений и системы экономических интересов, представляет собой сложную систему, содержащую определенные уровни своего существования, обуславливающих сложную систему форм ее проявления, посредством которых реализуется высшая цель социалистического производства.

Представлена отделом воспроизводства и экономической эффективности капитальных вложений Института экономики и права АН ГССР

შალვა ზურაბული, გიული კვიციანი

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება სახალხო მეურნეობრივ აღრიცხვაში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანებისა და სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახალხო მეურნეობის მართვის შემდგომ სრულყოფას. ჯერ კიდევ 1979 წლის 12 ივლისს, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული დადგენილება „დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“ — ითვალისწინებდა საწარმოებისა და ორგანიზაციების მეურნეობრივი საქმიანობისა და ხელმძღვანელობის შემდგომ გაუმჯობესებას, სოციალისტური მეურნეობის განვითარების მაღალ ტემპს, ქვეყნის მატერიალური სიმდიდრის ზრდას და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის ამაღლებას. ამ დადგენილებით გათვალისწინებული იყო დაგეგმვისა და ეკონომიკური მართვის უფრო სრულყოფილი მეთოდების შემოღება. წარმოებაში მეცნიერების მიღწევისა და მოწინავე ტექნიკის დანერგვა, მეურნეობის განვითარების შესაძლებლობათა ეფექტური გამოყენება სოციალიზმის ეკონომიკური კანონების შესაბამისად.

წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივმა სოციალისტურმა საკუთრებამ შესაძლებელი გახადა სახალხო მეურნეობის ერთიანი აღრიცხვის მეცნიერული ორგანიზაცია. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების პერიოდში აღრიცხვის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების თანამედროვე ეტაპზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოწესრიგებულ აღრიცხვას მეურნეობის მართვადი პროცესების სწორი ფუნქციონირების საქმეში. აღრიცხვა არა მარტო მეურნეობის ფუნქციათა მართვისა და კონტროლის საშუალებაა, არამედ იგი როგორც ამოსავალ მონაცემთა ერთობლიობა, მომავლის პროგნოზირების საფუძველიცაა. უფრო მეტიც, აღრიცხვის გარეშე წარმოუდგენელია ყოველგვარი მეურნეობრივი და მეცნიერული მუშაობა. მეურნეობრივი იმიტომ, რომ სახალხო მეურნეობრივი გეგმებისა და მათი ფაქტობრივი შესრულების მონაცემთა შეპირისპირება, შედეგების გამოვლინება და სათანადო ოპერატიული ზომების მიღება ხერხდება მხოლოდ აღრიცხვის მონაცემების საფუძველზე, მეცნიერული იმიტომ, რომ ბუნებისა და საზოგადოების მრავალფეროვან მოვლენებზე ხანგრძლივი დაკვირვების შედეგების ანალიზი წარმოებს აღრიცხვის მონაცემების საშუალებით.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და ეკონომიკის ინტენსიფიკაციის კურსის თანამედროვე პირობებში სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განუხრელმა აღმავლობამ, მეცნიერების მიღწევებმა, საზოგადოებრივი ფონდების სისტემატურმა ზრდამ მოითხოვა დაგეგმვის, აღრი-

ცხვისა და კონტროლის სრულყოფა. კერძოდ, ბუხპალტრული აღრიცხვის მაქსიმალური ცენტრალიზაციისა და მექანიზაციის მეშვეობით მისი აყვანა ისეთ დონეზე, რომელიც სავსებით უზრუნველყოფს ქვეყნის საფინანსო მეურნეობის მაღალ ორგანიზაციას, ეროვნული შემოსავლის რაციონალურ და ეფექტიან გამოყენებას, საზოგადოებრივი წარმოების ყველა უბანზე ზედმეტი დანახარჯებისა და დანაკარგების აღმოფხვრას. აღრიცხვისა და კონტროლის გაუმჯობესებისა და შემდგომი განვითარების მნიშვნელოვან რეზერვს შეიცავს აღრიცხვის ცენტრალიზაცია და კომპლექსური მექანიზაცია ელექტრონული გამომთვლელი მანქანების გამოყენებით. აღრიცხვის კომპლექსური მექანიზაციის დასაწარმოებლად საჭიროა შემუშავებული იქნეს და თანმიმდევრობით განხორციელდეს აღრიცხვისა და გამოთვლითი მუშაობის მექანიზაციის დონის ამაღლების, საანგარიშო და ელექტრონული გამოთვლითი ტექნიკით საწარმოებისა და ორგანიზაციების აღჭურვის, ეკონომიკური ინფორმაციის თავიდან ბოლომდე ცენტრალიზებული სისტემის შექმნის რეალური გეგმა. ამასთან მაქსიმალურად უნდა გაიზარდოს საწარმოთა ხელმძღვანელებისა და აღრიცხვის მუშაკების პერსონალური პასუხისმგებლობა სააღრიცხვო-საანგარიშო დისციპლინის განმტკიცებისა და სააღრიცხვო მონაცემების სინამდვილის უზრუნველყოფისათვის.

ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებს (ეგმ) არსებითი ცვლილებები შეაქვთ სააღრიცხვო-გამომთვლითი სამუშაოების ორგანიზაციაში. ეს ხდება მათი საექსპლუატაციო თავისებურებათა ძალის ფარგლებში. ელექტრონული გამომთვლელი მანქანები ავტომატურად ამუშავებენ ინფორმაციას, მაგრამ დამუშავებისათვის საჭიროა წინასწარი მომზადება. იგი მიმდინარეობს ორი მიმართულებით: ერთი მხრივ, მუშავდება ამოცანების გადაწყვეტის პროგრამა, მეორე მხრივ, წარმოებს დასამუშავებელი ინფორმაციის რეგისტრაცია სპეციალურ მატარებლებში.

პროგრამის შედგენა რთული დ შრომატევადი სამუშაოა. იგი იყოფა რამდენიმე საფეხურად. პირველ ეტაპს, წარმოადგენს ალგორითმების შემუშავება.

ალგორითმი უნდა შეიცავდეს ყოველგვარ მითითებას ამოცანის გადაწყვეტის, გამოთვლითი ოპერაციების თანამიმდევრობით შესრულების შესახებ. ყოველი ამოცანა საჭიროებს თავის ალგორითმს, მაგალითად ორი შესაკრების შეკრების ალგორითმი, სერთოდ უდიდესი გამოყოფის პოვნის ალგორითმი, დარიცხული ხელფსის თანხის გნსაზღვრის ალგორითმი, ხელფასიდან საშემოსავლო გადასახადის დაკავების გაანგარიშების ალგორითმი და ა. შ.

ალგორითმები უფრო ხშირად ჩაიწერება გრაფიკული ბლოკსქემებისა და მათემატიკური ფორმულების სახით, თუმცა შესაძლებელია მათი უფრო დაწვრილებითი სიტყვიერი აღწერა. მაგრამ ალგორითმების ჩაწერა უფრო მოხერხებულია პირობითი სიმბოლოების მეშვეობით (ასოები, ციფრები, ნიშნები.).

მეორე ეტაპს წარმოადგენს ამოცანის გადასაწყვეტი პროგრამის შემუშავება. პროგრამა იქმნება ალგორითმების ბაზაზე. პროგრამების შედგენის პროცესს ეწოდება პროგრამირება. ამ სამუშაოს ასრულებენ ინჟინერ-პროგრამისტები ან თვით ელექტრონული გამომთვლელი მანქანები.

¹ ავტ. კოლექტივი, ბუხპალტრა, ანალიზი და კონტროლი, ტ. 1, 1977, წ. გვ. 110-111.

ამგვარად, ელექტრონული გამომთვლელი მანქანის საშუალებით, მაგალითად, ხლფასის დარიცხვა მოითხოვს შემდეგ მოსამზადებელ სამუშაოებს. შესაბამისი ალგორითმის პოვნა, დარიცხული ხელფასის გაანგარიშების პროგრამის ან მანქანური პროგრამის შედგენა. ელექტრონული გამომთვლელი მანქანის მოწყობილობაში პროგრამისა და ამოცანის მაჩვენებლების (საწყისი და საშედეგო) გასანაწილებლად ადგილების მონახვა, ინფორმაციის მატარებლებზე მანქანური პროგრამის ჩაწერა და მისი შეტანა ელექტრონულ გამომთვლელ მანქანაში, ხელფასის სიდიდის განმსაზღვრელი საწყისი მაჩვენებლების ჩაწერა ინფორმაციის მატარებლებზე და მათი შეტანა ელექტრონულ გამომთვლელ მანქანაში.

თანამედროვე რთული კონსტრუქციული მანქანების ეფექტური გამოყენების მთავარ წინამძღვარს წარმოადგენს შრომის საგნების საკმაო რაოდენობის ბაზაზე პროდუქციის მასობრივი წარმოება ერთი მხრივ, და შრომის პროცესების უწყვეტობა, მანქანის ხელის მუშაობით შენაცვლების აღმოფხვრა, ცალკეულ ოპერაციებზე სამუშაო პროცესების გაძლიერება — მეორე მხრივ. ეს პრინციპები შეიძლება მივიღოთ ნებისმიერი მანქანის ეფექტურობის ამაღლების საერთო დებულებად როგორც წარმოებრივ, ისე მმართველობით სფეროში ეს ფაქტორები განსაზღვრავენ აღრიცხვის მექანიზაციის ორგანიზაციულ ფორმებსა და ანგარიშწარმოების დაპროექტების პრინციპებს ეკონომიკის სხვადასხვა დარგში.

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში ეკონომიკურ ინფორმაციათა მექანიზებული დამუშავებისათვის ელექტრონული გამომთვლელი მანქანების გამოყენება აღმავლობის სტადიაშია. მისი ფართოდ დანერგვა ერთ-ერთი გადაუდებელი სადღეისო ამოცანაა, რომლის წარმატებით გადაჭრა, თავის მხრივ, დამოკიდებულია მთელ რიგ პრობლემებზე.

თავის მოხსენებაში ამხ. მ. ს. გორბაჩოვი, 1985 წლის 11-12 ივნისს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხებთან დაკავშირებით აღნიშნავდა — პროგრესის კატალიზატორია მიკროელექტროტექნიკა, გამოთვლითი ტექნიკა და ხელსაწყოთმშენებლობა, ინფორმატიკის მთელი ინდუსტრია, ისინი მოითხოვენ დაჩქარებულ განვითარებას. რა თქმა უნდა ბევრი რამ დამოკიდებულია არა მარტო ელექტრონული მანქანების გამოშვების ზრდაზე, არამედ სახალხო მეურნეობაში მათ უნარიან გამოყენებაზეც...².

ელექტრონულ გამომთვლელ მანქანებზე გაანგარიშებათა შესრულება, მოითხოვს მონაცემთა ტექნიკური დამუშავების წინასწარ დაწვრილებით ალგორითმიზაციას (მათემატიკურ აღწერას) და მის გადაყვანას მანქანის კოდურ ენაზე (პროგრამირება) რაც ნიშნავს დეტალური განწყისის (პროგრამის) შედგენას ამოსავალი ინფორმაციების სამახსოვრო უჯრებში მოსათავსებლად, ეს უკანასკნელი განაპრობებს დამუშავების პროცესს და გამოთვლითი შედეგების საჭირო ფორმებში მიღებას. ალგორითმიზაციის სისრულესა და სისწორეზე დაპროგრამირების სიზუსტეზე დიდად არის დამოკიდებული შესრულებულ სამუშაოთა სისრულე და ხარისხი, სწრაფმოქმედი ელექტრონული ტექნიკის გამოყენების ეფექტურობა.

² გაზ. „კომუნისტა“, 12 ივნისი, 1985.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის მეთერთმეტე ხუთწლიანი გეგმით დასახული ღონისძიებანი უზრუნველყოფს ხალხის კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას, ხოლო ხალხის კეთილდღეობის ღონისძიებების ერთ-ერთი პირობაა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდება, რომელიც თავის მხრივ მოითხოვს მეურნეობის ყველა შიგა რეზერვების მაქსიმალურ გამოყენებას წარმოების რაციონალური ორგანიზაციის მეშვეობით. ეს იმაზე მიუთითებს, რომ გეგმაზომიერი წარმოების მართვის ერთ-ერთი ფუნქცია მისი რაციონალური ორგანიზაცია არის, რომლის ძირითად დანიშნულებას სახელმწიფო საწარმოო გეგმების პრაქტიკულად განხორციელების მეცნიერული ორგანიზაცია შეადგენს. ეს ფუნქცია ემყარება ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ-მორალურ ზემოქმედებას სამეურნეო მექანიზმის საშუალებით. აქ მნიშვნელობა ენიჭება, მუშაკთა მატერიალურ და ინტერესებს, საგვემო დავალებების ვადაზე ხარისხიანად შესრულებას, წარმოების მართვის მეცნიერულ ორგანიზაციას, დაგეგმვის გაუმჯობესებასა და წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებას სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების საფუძველზე.

„დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ უზრუნველვეყოთ ყოველივე იმის რაციონალური გამოყენება, რაც აქვს სახალხო მეურნეობას, დავეყრდნოთ უმთავრესად ზრდის იტენსიურ ფაქტორებს, უფრო ფართოდ დავენერგოთ წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები და მოწინავე გამოცდილება“³.

აღრიცხვა-ანგარიშების განვითარების საქმეში დიდი როლი ეკუთვნის ანგარიშწარმოების მოწინავე ფორმებისა და რაციონალურ ანგარიშთა სისტემის შემოღებას.

ცნობილია, რომ მრეწველობაში რქმნებოდა ბუხჰალტრული აღრიცხვის პროგრესული ფორმები და მეთოდები, ინერგებოდა ანგარიშწარმოების გაუმჯობესებული რეგისტრები. მრეწველობაში შექმნილ ბუხჰალტრულ ანგარიშწარმოების ფორმებსა და წესებს, მასალების აღრიცხვის ოპერატიულ-ნაშთობრივ მეთოდს, აღრიცხვის ეურნალ-ორდერულ ფორმასა და სხვ. წარმატებით იყენებენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. საბიუჯეტო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შემოღებულ აღრიცხვის ეურნალ-ორდერულ ფორმას საფუძვლად დაედო სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგებისათვის გათვალისწინებული ანგარიშწარმოების სწორედ ეს პროგრესული ფორმა, რომ არაფერი ვთქვათ აღრიცხვის პერფორმირებულ ფორმაზე, რომელიც საბიუჯეტო დაწესებულება-ორგანიზაციებში ინერგება ამჟამად სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მოქმედ მექანიზმული აღრიცხვის პერფორაციული ფორმის ანალოგიურად, თანამედროვე პერფორაციული მანქანები უზრუნველყოფენ არა მარტო აღრიცხვის მექანიზაციას, არამედ სააღრიცხვო-გამოსათვლელი სამუშაოების უფრო შრომატევადი ოპერაციების მნიშვნელოვან ავტომატიზაციასაც. ეს მანქანები წარმოადგენენ რთულ აგრეგატს, რომელიც შედგება 4 სახის ცალკე მანქანისაგან: პერფორატორის, მაკონტროლებლის, დამხარისხებლისა და ტაბულატორისაგან.

ბუხჰალტრულ სამუშაოთა შესრულების დროს პერფორაციულ გამოთვლელ მანქანებზე მუშაობის პროცესი შედგება: პერფორაციის, პერფორა-

³ სამეურნეო მექანიზმის შემდგომი სრულყოფისა და პარტიული და სახელმწიფო ორგანიზების აპოკანების შესახებ, 1979, გვ. 4.

ციის კონტროლის, დახარისხების, ტაბულაგრამების, ფაბულაციისა და პერფორატების სპეციალური დამუშავების ოპერაციებისაგან. აქედან პერფორაცია ითვლება გამოთვლითი სამუშაოების მექანიზაციის პირველ საფეხურად, მისი მეორე საფეხური—პერფორაციის კონტროლი გულისხმობს პირველადი საბუთებიდან პერფორატებზე მონაცემების გადატანის სისწორის შემოწმებას.

მექანიზებული პროცესის მესამე საფეხური—პერფორატების დახარისხება წარმოადგენს პერფორატების განსაზღვრული ნიშნებით დაჯგუფებას ისეთი თანმიმდევრობით, რაც უზრუნველყოფს მექანიზებულად ჩამოთვლის ჯამების მიღებას.

ამჟამად, პრაქტიკაში გავრცელებულ ელექტრომექანიკური პრინციპის მქონე გამომთვლელ-პერფორაციული კომპლექსის ძირითად მანქანას წარმოადგენს ტაბულატორი, რომლის დანიშნულება არის 45 და 80 სვეტიან პერფორატებზე გადატანილი ციფრობრივი ინფორმაციის დამუშავება (აღქმა, გამოთვლა, დაბეჭდვა) საპერფორაციო მაკეტების საფუძველზე.

ამ ტაბულატორს შეუძლია ვერტიკალური შეკრება-გამოკლება, რიცხვების ავტომატურად დაჯამება, რაოდენობრივ-თანხობრივი მონაცემების გამოთვლა და ნაშთების მიღება, სხვადასხვა საცნობარო და დამაჯგუფებელი ნიშნების, პირობითი აღნიშვნებისა და გამოთვლის შედეგების ბეჭდვა. აღსანიშნავია, რომ გამოთვლა და ბეჭდვა ხორციელდება ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ე. ი. შეიძლება დაიბეჭდოს მონაცემები მათ გამოუთვლელად, ან დაბეჭდვის გარეშე გამოითვლოს მონაცემები და დაიბეჭდოს მხოლოდ მიღებული ჯამები. ამის მიხედვით ტაბულატორის მუშაობა შეიძლება იყოს „ბეჭდვაზე“ ან „ჯამებზე“. „ბეჭდვაზე“ მუშაობის დროს იბეჭდება თითოეული პერფორატის შინაარსი და, თუ ეს საჭიროა, გამოთვლის შედეგები. „ჯამებზე“ მუშაობისას იბეჭდება მხოლოდ ჯამობრივი მაჩვენებლები, ხოლო საცნობარო და დამაჯგუფებელი ნიშნები აღიქმება ბარათების მოცემული ჯგუფის პირველი პერფორატითდან.

როგორც აღინიშნა ტაბულატორის ძირითად ამოცანას წარმოადგენს საწყისი მონაცემების გამოთვლა და მიღებული ჯამების ჩაწერა სპეციალურ ცნობა ტაბულაგრამებში⁴.

აღნიშნული პერფორაციული გამომთვლელი მანქანების მუშაობის პროცესების განმარტებიდან ჩანს, რომ ისინი აღიქვამენ და ბეჭდავენ მხოლოდ ციფრობრივ ინფორმაციას, გამონაკლისს შეადგენს ანბანური მანქანები, რომლებიც აღიქვამენ კოდების კომბინაციას და ბეჭდავენ ტექსტსაც. პერფორაციულ-გამომთვლელი მანქანების ტექნიკური თვისებების საფუძველზე მხოლოდ ციფრობრივი აღნიშვნების აღქმა იწვევს პირველადი საბუთების მაჩვენებლების კოდირების აუცილებლობას. კოდირებული ინფორმაცია პერფორაციის მაკეტების საფუძველზე გადაიტანება ინფორმაციის მანქანურ მატარებელზე პერფორაციული აღრიცხვის შემთხვევაში — პერფორატებზე.

პერფორატული ფორმით აღრიცხვის ტექნოლოგია მოითხოვს უნიფიცირებულ ინფორმაციას, რომელიც წარმოდგენილია ერთჯერად პირველად

⁴ აღრიცხვის მექანიზაციის პერფორაციული ფორმის ტექნოლოგია დამუშავებულია ავტორთა კოლექტივის—ლ. გურჯიცი, ვ. ლიბერმანი, ნ. თვსიანიკოვი, ვ. ვ. როუნოვის შიგნის Счётные машины и вычисления в бухгалтерском учёте მიხედვით, თბ., 1971. გვ. 219-223.

ბარათებში და ჯამობრივ პერფობარათებში, აგრეთვე ნაშთობრივ, ნორმატიულ და სხვა სახის მუდმივ ბარათებში. ერთჯერად ჯამობრივ პერფობარათებში ასახულია ისეთი მონაცემები, საანგარიშგებო თვის და წლის დასაწყისიდან, რაც აუცილებელია სათანადო საანგარიშგებო ტაბულაგრამების შესადგენად.

აღრიცხვის პერფობარათული ფორმის თავისებურება ისაა, რომ თითოეული სამეურნეო ოპერაციის სინთეზურ აღრიცხვას ითვალისწინებს ორ პერფობარათში. ერთ პერფობარათში დაჩვრეტის გზით იწერება ანგარიშის მონაცემები დებეტით, ხოლო მეორეში კრედიტით.

მთლიანად სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის რეგისტრების შესადგენად გამოიყენება ორი კომპლექტი ჯამობრივი პერფობარათ-გამტარებელი და ორი კომპლექტი პირველადი ბარათ-გამტარებელი. იხმარება აგრეთვე გასული თვის რეგისტრების მიხედვით დამუშავებული ნაშთობრივი პერფობარათები იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა ამა თუ იმ ტაბულაგრამის მიღება ნაშთების მიხედვით.

პერფობარათული ფორმით ბუხჰალტრული აღრიცხვის რაციონალური ორგანიზაციის პირობებში მის თვალსაჩინო მიღწევებად ითვლებიან: 1. ყველა აუცილებელი ინფორმაცია მიიღება პერფობარათების საფუძველზე. აღრიცხვის ყველა სახის მაჩვენებლებსა და მათ ცალკეულ უბნებს, აგრეთვე ანალიზური და სინთეზური აღრიცხვის მონაცემებს შორის სრული ურთიერთდაკავშირების უზრუნველყოფა.

2. პერფორაციის მაკეტების მინიმალური რაოდენობის გამოყენება.
3. მთლიანად დამთავრებული რეგისტრების ტაბულაგრამების სახით შედგენა მათი ფორმების მცირე სახესხვაობით.
4. წანამძღვრების წარმოქმნა ინფორმაციის დამუშავების უფრო რაციონალური ტექნოლოგიის, სპეციალიზებული საპერფორაციო ავტომატების, სხვადასხვა სახის მუდმივი პერფობარათების და დულა/ბარათების გამოყენებისათვის.

გარდა ამისა აღრიცხვის ტაბულურ-პერფობარათული ფორმა უზრუნველყოფს შესაძლებლობას გამოყენებულ იქნეს ნორმატიულ-გეგმიურ ინფორმაციათა მატარებლები, რომლებიც ვათვალისწინებულია ერთდროულად წარმოების მომზადების ტექნიკურ განგარიშებათა ოპერატიული და ტექნიკურ-ეკონომიკური დაგეგმვის სამუშაოთა მექანიზაციისათვის, მიუხედავად აღრიცხვის პერფობარათული ფორმის პროგრესულობისა, ამჟამად მის გამოყენებაში ადგილი აქვს რიგ სიძნელეებს, რომლებიც აქვეითებენ ეკონომიკური ინფორმაციის დამუშავების ხარისხს, სააღრიცხვო სამუშაოთა შრომატევადობის შემცირების შესაძლებლობასა და მექანიზაციის ეფექტურობას. ეს სიძნელეები უმთავრესად აიხსნება იმით, რომ აღრიცხვისა და მექანიზაციის მუშაკებს არა აქვთ ღრმად შესწავლილი ამ ახალი ფორმის გამოყენების ტექნოლოგია. ამ დარგის მუშაკებისათვის საჭიროა ერთდროულად ორი დისციპლინის—ბუხჰალტრული აღრიცხვისა და აღრიცხვის მექანიზაციის ღრმა ცოდნა. სამწუხაროდ, ბუხჰალტერიის სპეციალისტები ნაკლებად, ან სულ ვერ ერკვევიან მექანიზაციის, ხოლო მექანიზატორ-ოპერატორები ბუხჰალტრული აღრიცხვის საკითხებში.

ცენტრალიზებული აღრიცხვისა და კომპლექსური მექანიზაციის ზემოხსენებული პროექტებიც არ ითვალისწინებენ პერფობარათული ფორმის უნი-

ვერსალურ ვარიანტებს, რომელიც დაეხმარებოდა მათ ამ პროგრესული ფორმის რაციონალურ ორგანიზაციაში.

გარდა ამისა პერფორბარათული ფორმის განვითარებას ხელს უშლის შემდეგი ნაკლოვანებანი:

1. ინფორმაციათა მექანიზებული დამუშავება არ მოიცავს ყველა საბალანსო ანგარიშებს;

2. ნორმატიული და საგეგმო განაგარიშებების მექანიზაციათა შორის არ არსებობს არავითარი კავშირი.

3. სუსტად გამოიყენება (ან სრულებით არ გამოიყენება) პირობით მულტიმივი ინფორმაციების მატარებლები;

4. არასაკმარის სისრულით გამოიყენება ფართო ექსპლოატაციის შესაძლებლობის მქონე სპეციალიზებული გამომთვლელი პერფორაციული ტექნიკა და მათთან მისადაგმელი მოწყობილობა;

5. ნაკლები ყურადღება ექცევა პირველადი აღრიცხვის მექანიზაციასა და ავტომატიზაციას, ამოსავალ ინფორმაციათა მატარებლების მოწესრიგებას;

6. ტაბულაგრამების მოცემული რაოდენობა ვერ აკმაყოფილებს მიმდინარე აღრიცხვისა და ანგარიშების ყველა სფეროს მოთხოვნებს;

7. სააღრიცხვო ნომენკლატურების არაუნიფიცირებული და არასტაბილური კოდების სისტემა, რაც ხელს უშლის ანგარიშების ყველა ფორმის შესავსებად საჭირო მაჩვენებლების ავტომატურად მიღებას.

ადგილი აქვს აგრეთვე საპროექტო ნაკლოვანებებსაც აღრიცხვის პერფორბარათული ფორმის ვარიანტების დანერგვაში. ამიტომ ამ ფორმის რაციონალურ ორგანიზაციაში ვადამქრელი მნიშვნელობა ენიჭება მექანიზაციის პროექტის დამუშავებას, სამეურნეო ოპერაციების კოდირებასა და პერფორაციის მაქეტების შედგენას აღრიცხვის თავისებურებათა გათვალისწინებით.

მართვის ავტომატიზებულ სისტემაში ელექტრონული გამომთვლელი მანქანების გამოყენებამ დიდად გაზარდა ინფორმაციის მექანიზაცია და ავტომატიზაციის პორიზონტი. შესაძლებელი გახდა მართვის რთული ალგორითმების განხორციელება და ერთი ალგორითმიდან მეორეზე სწრაფი გადართვა პროგრამების შეცვლის საშუალებით.

ჩვენს ქვეყანაში სადღეისოდ ფართოდ არის გამოყენებული სამამულო წარმოების სხვადასხვა ტიპისა და წარმადობის შემდეგი ელექტრონული გამომთვლელი მანქანები: „ურალი—11, „ურალი—2“, „ურალი—14“, „არაგაცი“, „ბესმ—2“, „ბესმ—4“, „ბესმ—6“, „მ—220“, „მ—222“, „მინსკ—22“, „მინსკ—32“, „მ—6000“, „ნაირი—2“, „მაირი—3“, „პრომინი“, „ეს—1020“, —1022“, —ეს—1030“, „ეს—1033“, „ეს—1040“, და სხვ.

ეს მანქანები იყოფიან: პირველი, მეორე, და მესამე თაობის მანქანებად. პირველი თაობის მანქანებს მიეკუთვნება რადიონათურებზე მომუშავე მანქანები: „ურალი“, „არაგაცი“, და სხვა, მეორე თაობის მანქანებს მიეკუთვნება ნახევარ გამტარებზე მომუშავე მანქანები: „ბესმ—4“, „ბესმ—6“, „მ—220“, „მ—222“, „მ—6000“, „მ—22“, „მ—32“, „რაზდან“, „ნაირი“, ყველა სხვის „მაირი“ და „პრომინი“. მესამე თაობას მიეკუთვნება ინტეგრალურ სქემებზე მომუშავე მანქანები, როგორცაა „ეს—1020“, „ეს—1022“, „ეს—1030“, „ეს—1033“, და სხვა⁵.

⁵ ი. ბურდული, მართვის ავტომატიზებული სისტემები, 1981, გვ. 110.

მართვის ავტომატიზებულ სისტემებსა თუ მის ცალკეულ ქვესისტემებში მოქმედ ელექტრონული გამომთვლელი მანქანების მუშაობის უპირატესობასა და მალალ დატვირთვაზე მიუთითებს აგრეთვე ჩვენს რესპუბლიკაში მოქმედი და ასამოქმედებელი მართვის ავტომატიზებული სისტემების ელექტრონული გამომთვლელი მანქანების მუშაობის შედეგები, საიდანაც ჩანს, რომ ელექტრონულ გამომთვლელ მანქანებს უფრო ეფექტურად იყენებენ ასამოქმედებელ მართვის ავტომატიზებული სისტემების დამამუშავებელ გამოთვლით ცენტრებში. მათ შორის: „სოფლტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის „რიგც“, „ავტოტრანსტექნიკის იგც“, საქ. სსრ მშენებლობის სამინისტრო „რიგც“, საქ. სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს „რიგც“, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს „რიგც“, სახელმწიფო ბანკის რესპუბლიკური კანტორის „რგც“ საავიაციო ქარხნის „იგც“, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს გც, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის „იგც“, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს „გც“.

გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების თანამედროვე ეტაპისათვის დამახასიათებელი უნდა იყოს მათი მუშაობა კომპლექსური ექსპლოატაციის საწყისებზე, რაც რამდენიმე ელექტრონული გამომთვლელი მანქანის კომპლექსური გაერთიანების საფუძველზე უნდა განხორციელდეს დისტანციური კავშირების მოწყობილობებით მათი აღჭურვის ბაზაზე, მართვის ავტომატიზებული სისტემების თანამედროვე მოთხოვნათა პირობებში ელექტრონული გამომთვლელი მანქანების კოლექტიური გამოყენება აამაღლებს მათ საშუალო სადღელამისო დატვირთვას. ინფორმაციის მანქანური დამუშავების ასეთი ორგანიზაციის პირობებში ცალკეულ სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით გამოთვლითი ცენტრების შექმნის აუცილებლობა იხსნება, რაც ხელს უწყობს ცალკეულ ეგმ დაუტვრთველობის ლიკვიდაციას, აუმჯობესებს ეგმ კადრებითა და შენობებით უზრუნველყოფის მდგომარეობას და სხვ.

გამოთვლითი ტექნიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე გამოთვლითი ცენტრებისა თუ სხვა ორგანიზაციული ფორმის გამოთვლითი დანადგარების ოპერატიულ მუშაებას დიდ დახმარებას გაუწევდა მოწინავეთა გამოცდილების განზოგადება, სამამულო, თუ საზღვარგარეთული გამოთვლითი ტექნიკის ეფექტური გამოყენების სააღრიცხვო-ეკონომიკური ინფორმაციის მანქანური დამუშავების ტექნოლოგიური პროცესების გაცნობა. „ახლა, როდესაც სსრ კავშირში იქმნება ერთიანი საერთო-სახელმწიფოებრივი სისტემა აღრიცხვის, დაგეგმვისა და მართვის ინფორმაციის დასამუშავებლად, უაზრო იქნებოდა უარგვეყო მდიდარი გამოცდილება მრავალი პრინციპული ტექნიკური გადაწყვეტილებით, რომელიც საზღვარგარეთულ გამოთვლით ქსელში გამოიყენება“.⁶

წარმოების სპეციალიზაციისა და დასამუშავებელი ინფორმაციის მოცულობის მიხედვით კაპიტალისტური ქვეყნების სპეციალური ფირმები აღრიცხვის მექანიზაციის ტექნოლოგიის სხვადასხვა მეთოდებს იყენებენ, მაგრამ დამახასიათებელი მაინც ისაა, რომ ელექტრონული გამომთვლელი მანქანები წარმოადგენენ ინტეგრალური აღრიცხვის ორგანიზაციის, მისი ფორმისა და შინაარსის განსაზღვრულ ფაქტორს. ამჟამადაც აღრიცხვის მექანიზაციის

⁶ Г. Бердина, О. Голосов, Э. Чернин, Вычислительные системы для обработки учётной информации, М., 1977, с. 7.



სრულყოფა მიმდინარეობს გამომთვლელ-მანქანურ საშუალებათა ტექნიკური პარამეტრების შეთავსებით აღრიცხვის ფორმებთან ერთის მხრივ და მექანიზაციის მოთხოვნათა შესაბამისად — მეორე მხრივ.

საზღვარგარეთის ქვეყნებში და მათ შორის, აშშ ეკონომიკური ინფორმაციის დამუშავებაში, უფრო მეტი ყურადღება აღრიცხვის კომპლექსურ მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ეთმობა, ალბათ ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ უკვე 1965 წ. ამერიკის შეერთებული შტატების მრეწველობის ძირითად დარგებში ბუხჰალტრული აღრიცხვის ყველა სახის გაანგარიშებანი ავტომატიზებული იყო.

1979 წელს ეგმ მიერ შესრულებულ სამუშაოთა სტრუქტურაში 44% შეადგენდა ფორმების ფინანსურ საქმიანობასა და ბუხჰალტრულ აღრიცხვასთან დაკავშირებულ ოპერაციებს: წარმოების ოპერატიული ხელმძღვანელობის წილად მოდიოდა 19, საბაზრო კონიუნქტურის ანალიზზე — 13%, ფორმის საქმიანობის დაგეგმვაზე — 3%, წარმოების მომზადებაზე — 11%, პროდუქციის გასაღებაზე — 10%.

აშშ-ში მოქმედი თითქმის ყველა გამოთვლითი დანადგარი აწარმოებს ხელფასის დარიცხვის, მასალების აღრიცხვის, რეალიზაციის აღრიცხვისა და ანალიზის, პროდუქციის გასაღების ხარჯების აღრიცხვისა და ანალიზის და ბუხჰალტრული აღრიცხვა-ანგარიშგებასა და ანალიზთან დაკავშირებულ სხვა ოპერაციების მექანიზებულ აღრიცხვას, რაც ეგმ-ით შესრულებულ სამუშაოთა ტექნოლოგიურ პროცესში მონაცემთა დამუშავების იდეალურ სისწორესა და სიმედიანობას ვერ უზრუნველყოფს, მაგრამ აღრიცხვისა და ანგარიშგების კომპლექსური მექანიზაციის საჭირო დონეს ტექნიკური პროგრესის მოთხოვნათა შესაბამისად ინტეგრაციის საწყისებზე აკმაყოფილებს.

აშშ-ში, ინგლისში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, საფრანგეთში და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში ბოლო დროს ფართოდ გავრცელდა სპეციალიზებული კომერციული კოლექტიური გამოყენების გამოთვლითი ცენტრები, სისტემები რომლებიც აღჭურვილი არიან მესამე და მეოთხე თაობის „მინი“ ელექტრონული გამომთვლელი მანქანებით. ისინი ასრულებენ უმთავრესად სააღრიცხვო-ეკონომიკურ სამუშაოებს. მათ შორის კლიენტთა უმრავლესობისათვის ახორციელებენ შრომისა და ხელფასის გამოთვლასა და აღრიცხვას, პროდუქციის რეალიზაციის აღრიცხვასა და მიღებული შედეგების ანალიზს, ამუშავებენ გასაანგარიშებლად წარმოდგენილ და განაღებულ ანგარიშებს, აწარმოებენ ფინანსურ და საანგარიშსწორებო ოპერაციებს, ასრულებენ აგრეთვე ფორმათა სამეურნეო — ფინანსური საქმიანობის საანალიზო და სხვა რთულ ეკონომიკურ ამოცანებს.

გასულ წლებთან შედარებით საქართველოს სსრ გამოთვლითი ცენტრებსა და სხვა მანქანათა დანადგარების მიერ დახარჯულ ყოველ 100 ათას საათში ეკონომიკურ სააღრიცხვო სამუშაოების სტრუქტურა-მოცულობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. ამჟამად ყოველ 100 ათასი საათიდან ყველაზე მეტი დრო იხარჯება შრომისა და ხელფასის აღრიცხვის მექანიზაციაზე. სააღრიცხვო ინფორმაციის მექანიზებული დამუშავების სრულყოფისა და ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების სადღეისო, გადაუდებელი ამოცანაა კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვა. ავტომატიზაციამ უნდა მოიცვას სააღრიცხვო-საგეგმო ინფორმაციის დამუშავების მთელი პროცესი, რასაც

წარმატებით უზრუნველყოფს ორგანიზაციული მართვის ავტომატიზებული სისტემა.

მართვის ავტომატიზებული სისტემის პრაქტიკაში ფართო გავრცელება მიიღო ე. წ. ტერმინალურმა მოწყობილობამ, რომელიც ტელეარხების მეშვეობით ამყარებს ორმხრივ კავშირს ელექტრონულ გამომთვლელ მანქანასა და ეკონომისტების, ბუხალტრების და სხვა მუშაკების სამუშაო ადგილებს შორის. ასეთი მოწყობილობის არსებობის პირობებში სათანადო უბნის მუშაკებს ეგმ-ს უშუალო გამოყენების შესაძლებლობას აძლევს, სახელდობრ, „მათ შეუძლიათ კოდირების გარეშე შეიყვანონ დასამუშავებელი ინფორმაცია მანქანაში თავიანთი კლავიშის პულტის საშუალებით და მიიღონ პასუხი ეგმ-დან ტელეეკრანზე.“

ერთმანეთისაგან განსხვავდება ორი სახის მართვის ავტომატიზებული სისტემა: ტექნოლოგიური მართვის ავტომატიზებული სისტემა და ორგანიზაციული მართვის ავტომატიზებული სისტემა. აქედან, ცხადია, რომ პირველი ახორციელებს ტექნოლოგიური პროცესის მართვას, მეორე კი ეკონომიკურ-სოციალურ, საგემო-სააღრიცხვო და სხვა მართვითი ამოცანების გადაწყვეტას. ამჟამად, ორგანიზაციული მართვის სისტემები იქმნება უკვე მეორე და მესამე თაობის ელექტრონული გამომთვლელი მანქანების ბაზაზე, რომლებიც უაღრესად დიდი წარმადობისა და სხვა დამახასიათებელი თვისებების გამო სოციალურ-ეკონომიური მრავალფეროვანი ამოცანების გადასაწყვეტად საჭირო ინფორმაციის შეგროვების გადაცემისა და გადამუშავების ყველა პირობას ქმნიან. ორგანიზაციული მართვის ავტომატიზებული სისტემის ფუნქციონირებაში გარკვეული როლი ენიჭება ინფორმაციის შეგროვებისა და გადაცემის „ელექტრონულ სისტემას“.

ამჟამად, საბჭოთა კავშირში მუშავდება სახალხო მეურნეობის აღრიცხვის, დაგეგმვის და მართვის ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების საერთო სახელმწიფოებრივი ავტომატიზირებული სისტემა, რომელსაც საფუძვლად დაედება ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანური ტექნიკა და კავშირგამბულობის საშუალებები. საერთო სახელმწიფოებრივმა ავტომატიზებულმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს საკავშირო, რესპუბლიკური და უწყებათა მმართველობის აპარატი (ხელმძღვანელობა) აუცილებელი ინფორმაციით, აღრიცხვის, დაგეგმვის, მმართველობის ამოცანების გადასაწყვეტად.

უკანასკნელ წლებში ინტენსიური მუშაობა გაიშალა ორგანიზაციული მართვის სპეციალიზებული ავტომატიზებული სისტემების შესაქმნელად. ამ პროგრესულ ღონისძიებას საფუძვლად ედება მათემატიკური მეთოდების დანერგვა, მეორე-მესამე თაობის ელექტრონულ-გამომთვლელი და სხვა საანგარიშო ტექნიკის გამოყენება, ასევე პირველადი სააღრიცხვო კავშირგამბულობისა და დისტანციური გადაცემის საშუალებები. მართვის ავტომატიზებული სისტემები უზრუნველყოფენ ორგანიზაციული მართვის ყველა შრომატევადი ფუნქციის ავტომატიზაციას.

ორგანიზაციული მართვის ავტომატიზებული სისტემის ერთ-ერთ ძირითად ქვესისტემას წარმოადგენს „ბუხალტრული აღრიცხვა“ ცენტრალიზებული ბუხალტერიის სახით. მართვის ავტომატიზებული სისტემის ფართო პროგრამის განხორციელება მოითხოვს არსებული ელექტრონულ გამომთვლელი მანქანების რაციონალურ გამოყენებას, მანქანების მათემატიკური პროგრამირების გაუმჯობესებას და ა. შ. მაგრამ კიდევ ერთხელ უნდა აღი-



ნიშნის, რომ ელექტრონულ-გამომთვლელი და სხვა გამოთვლითი ელექტრონული ტექნიკური საშუალებები სააღრიცხვო ინფორმაციის დამუშავების პროცესის ყველა სტადიაზე არაა გამოყენებული, ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია იმ ოპერაციათა რიცხვი, რომელიც ხელით სრულდება.

ნაკლოვანებები, რომლებიც შეიმჩნევა უკვე მოქმედ მართვის ავტომატიზებული სისტემის ზემოაღნიშნული ქვესისტემის მუშაობაში იმითაც აიხსნება, რომ მათ დანერგვას წინ არ უსწრებს აღრიცხვისა და სხვა ეკონომიკური სამსახურების ინფორმაციის დამუშავების ცენტრალიზაცია და კომპლექსური მექანიზაცია.

პირველად შექმნილი მართვის ავტომატიზირებული სისტემის დაპროექტებისა და ექსპლოატაციის პრაქტიკული გამოცდილება მთელი სიცხადით მეტყველებს აგრეთვე ეკონომიკური ინფორმაციის სისტემაში ბუხპალტრული და ოპერატიული აღრიცხვის ადგილის, დანიშნულებისა და როლის ღრმა შესწავლის აუცილებლობაზე.

Ш. И. БУРДУЛИ, Г. П. КВИРИКАШВИЛИ

УСКОРЕНИЕ НАУЧНО-ТЕХНИЧЕСКОГО ПРОГРЕССА В НАРОДНОХОЗЯЙСТВЕННОМ УЧЕТЕ

Резюме

Рассматриваются вопросы методологии механизированного и автоматизированного учёта в условиях применения перфорационной и электронной вычислительной техники.

Определены роль и место механизации учёта в системе АСУ различного уровня с учётом требования ускорения научно-технического прогресса в части совершенствования интегрированной обработки учётных данных.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის აღრიცხვისა და ფინანსების პრობლემათა ჯგუფმა

ზაზი თოფურიძე

კომპლექსური მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამების რეალიზაციის ეკონომიკური ასპექტები

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ცენტრალიზებული მართვის სიტემაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი კომპლექსური მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამების შემუშავებასა და რეალიზაციას.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ახალი მიდგომის ქმედითობა ბევრად არის დასაბუთებული პროგრამების რეალიზაციის ორგანიზაციულ-ეკონომიკურ მექანიზმზე, რომელსაც, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავს პროგრამის საბოლოო შედეგების აღრიცხვისა და ანალიზის დონე.

მეცნიერ-ეკონომისტთა უმეტესობის აზრით, კომპლექსური მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამების აღრიცხვისა და ანალიზის არსებული ფორმები სრულიად ვერ აკმაყოფილებენ კომპლექსური, სისტემური მიდგომის მოთხოვნებს. როგორც წესი, შედარებით ღრმა ანალიზი უკეთდება პროგრამის რეალიზაციის პროცესში ტექნიკურ შედეგებს, როგორცაა: — გამოკვლევებისა და დამუშავებების სიახლე, ნაწარმის ტექნიკური დონე, საიმედოობა და ა. შ. რაც შეეხება ეკონომიკურ მაჩვენებლებს, მათ კვლევას ნაკლები ყურადღება ექცევა.

კომპლექსური მიზნობრივი პროგრამების შესრულების პროცესში ცალკეულ სამუშაოთა მიმდინარეობის აღრიცხვა და ანალიზი უნდა მოიცავდეს გამოკვლევა-წარმოების მთელ ციკლს, ანუ ხორციელდებოდეს პროგრამის რეალიზაციის ყველა ეტაპზე. კონკრეტული საკვლევი ობიექტების როლს ამ შემთხვევაში ასრულებენ მიზნობრივი პროგრამის მონაწილე ორგანიზაციები, რომლებიც დაკავებულნი არიან ცალკეული დავალებებისა და ეტაპების შესრულებით.

კომპლექსური მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამების ეკონომიკური ანალიზის მეთოდოლოგიური საკითხები ჩვენ მიერ განხილული იქნა რესპუბლიკისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროგრამის ფხვნილური მეტალურგიის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამის მაგალითზე. პროგრამა მოიცავს პერიოდს 1981-1990 წწ. პირველი ეტაპის სამუშაოები უნდა დასრულდეს 1985 წლისთვის. პროგრამის მოთავე ორგანიზაციას წარმოადგენს ფხვნილური მეტალურგიის რესპუბლიკური სამეცნიერო ცენტრი, რომელიც ფუნქციონირებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტში.

პროგრამის ეკონომიკური ანალიზის დროს ჩვენს მიერ გამოყენებული იქნა უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან არსებული საკოორდინაციო საბჭოს მიერ შემუშავებული კომპლექსური მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამის პასპორტის მაჩვენებლები, მოთავე ორგანიზაციისა და ორგანიზაცია-შემსრულებლების საკოორდინაციო გეგმები, პრობლემის მდგომარეობისა და პერსპექტიული განვითარების სამეცნიერო ანგარიშები და სხვა სტატისტიკური მონაცემები.



„ფხვნილური მეტალურგიის“ პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს 7 სამინისტრო და გაერთიანება, როგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკურ დონეზე, 6 ქარხანა, 19-მდე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და საკონსტრუქტორო ბიურო.

ეკონომიკური ანალიზის პირველ ეტაპზე შესწავლილ იქნა პროგრამის მიზნის შესაბამისობა დარგის წინაშე მდგომ ამოცანებთან — რაც გულისხმობს პრობლემის თეორიული დამუშავების დონეს, ახალ პროდუქციაზე სახალხო-მეურნეობრივ მოთხოვნილებას, ნაწარმის პერსპექტიულობას და ა. შ. ფაქტიური მასალების შესწავლამ საშუალება მოგვცა გაგვეკეთებინა დასკვნა, რომ პროგრამა პასუხობს დარგის წინაშე დასახულ ამოცანას — ფხვნილური მეტალურგიის განვითარება საშუალებას იძლევა ნაწარმის დამუშავების ტექნოლოგიიდან გამოირიცხოს ისეთი ტრადიციული პროცესები, როგორცაა ლითონის დნობა და ჩამოსხმა; უზრუნველყოს განსაკუთრებული ფიზიკური თვისებების მქონე პროდუქციის გამოშვება; ფხვნილური მეტალურგიის ხერხით ლითონების დამუშავება ამალეებს შრომის ნაყოფიერებას, ამცირებს არასაწარმოო დანახარჯებს და პროდუქციის თვითღირებულებას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის მიერ ჩატარებულმა წინასწარმა გამოკვლევამ რესპუბლიკის რიგ საწარმოებში დაადანტურა, რომ ფხვნილური მეტალურგიის წესით შეიძლება დამზადდეს 10.000 ტ. მეტი ნაწარმი, მათ შორის — 3.000 ტ. ფერადი ლითონების ფხვნილისაგან და 7.000 ტ. შავი ლითონების ფხვნილისაგან. ამასთან მიღებულ იქნეს 6000 ტონა შავი ლითონებისა და 14.000 ტ. ფერადი ლითონების ნაგლინი. აღნიშნული ღონისძიებების გატარება შეამცირებს დეტალების დამზადების შრომატევადობას 4.000 ნორმა საათით და გამოანთავისუფლებს მძიმე ფიზიკური შრომისაგან 2 ათასამდე მალაქვალთა ციურ სპეციალისტს. პროგრამის განხორციელების შედეგად მიღებული ეკონომიკური ეფექტი სავარაუდოდ შეადგენს 30 მლნ მან. ეს წინასწარი გაანგარიშებები დაედო საფუძვლად პროგრამის მიზნის საბოლოო ჩამოყალიბებას — „მალაქმწარმოებლური ტექნოლოგიური პროცესების და მოწყობილობა-დანადგარების შექმნა ლითონური ფხვნილებისა და მის საფუძველზე მეტალურგიის ახალი პროდუქციის წარმოებისათვის“.

ეკონომიკური ანალიზის განხორციელების ამოსავალ მაჩვენებლებს წარმოადგენენ: პროგრამის ცალკეულ დავალებებზე და მთლიანად პროგრამის მიხედვით სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება (ათას. მან.); ცალკეულ სამუშაოთა შესრულების ვადები და მათზე გაწეული კაპიტალური დაბანდებები. პროგრამის სტრუქტურა სამუშაოთა ეტაპებისა და სახეობების მიხედვით; — (სამეცნიერო-კვლევითი, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები, ექსპერიმენტალური წარმოება). მაჩვენებელთა ასეთი ნაირსახეობა, საშუალებას იძლევა დავადგინოთ პროგრამის შესრულების პროცესში სხვადასხვა სახის რესურსების ხარჯვის ტენდენციები და დავსახოთ მათი რაციონალურად გამოყენების გზები.

ანალიზის შემდეგ ეტაპს წარმოადგენდა დანახარჯების აღნუსხვა პროგრამის ძირითადი დავალებებისა და სახეების მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ 1981-1985 წლების მანძილზე პროგრამით გათვალისწინებულია ოთხი დავალების შესრულება, რომლებიც მოიცავენ ცალკეულ სამეცნიერო-კვლევით თემებსა და სამუშაოებს. № 1 ცხრილში მოცემულია ფხვნილური მეტალურგიის

კომპლექსური პროგრამის სამუშაოთა განაწილება ძირითადი დავალებებისა და სახეების მიხედვით.

ცხრილი 1

სამუშაოთა განაწილება დავალებების და სახეების მიხედვით (%)

პროგრამის ძირითადი დავალებები და შიფრები	სულ დანახარჯები ცალკეულ დავალებებზე % ჯამთან	მათ შორის:	
		დანახარჯები სამეცნიერო კვლევით სამუშაოებზე	კაპიტალდაბანდებები
1. რკინის ფხვნილების მიღების ტექნოლოგიური პროცესების შექმნა და წარმოებაში ათვისება. (01)	43,3	23,2	20,0
2. ფერადი ლითონების და კომბინირებული ფხვნილების შექმნისა და წარმოებაში ათვისების ტექნოლოგიური პროცესები. (02)	13,1	4,2	8,7
3. შავი და ფერადი ლითონების ფხვნილებისგან მასალებისა და ნაწარმის მიღების ტექნოლოგიური პროცესები. (03)	15,3	8,5	6,1
4. დეტალებზე კოროზიის საწინააღმდეგო ფენის მიღების სამრეწველო მეთოდების შემუშავების ტექნოლოგიური პროცესები. (04)	27,3	16,3	10,8
სულ:	100,0	53,2	46,8

როგორც ცხრილიდან ჩანს, პროგრამაზე გამოყოფილი სახსრების 53,2% მოდის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე, 46,8% — კაპიტალდაბანდებებზე. შეიმჩნევა დანახარჯთა ხვედრითი წილის ცვალებადობა პროგრამის ძირითადი დავალებების მიხედვით: პროგრამის ოთხი დავალებიდან მეტი ხვედრითი წილით დანახარჯთა საერთო მოცულობაში წარმოდგენილია 01 და 04 დავალებები. 01 დავალებაში სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე მოდის 23,2%, კაპიტალდაბანდებებზე — 20,0%. 04 დავალებაში კი შესაბამისად 16,3% და 10,8%. დანახარჯთა ასეთი ცვალებადობა, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეულია აღნიშნულ დავალებებში ეტაპებისა და თემების რაოდენობით. 01 დავალებაში სულ არის 12 თემსა და ამდენივე ქვეთემისა; ხოლო 04 დავალება აერთებს 10 თემსა და ამდენივე ქვეთემისა, მაშინ, როცა 03 დავალება თემების რაოდენობითაც (8) და მათ შესრულებაზე გამოყოფილი შრომითი და მატერიალური რესურსების მოცულობით ბევრად ჩამორჩება 01 და 04 დავალებას.

დიდი მნიშვნელობა აქვს ანალიზის დროს პროგრამის დავალებების შეფასების ძირითადი კრიტერიუმის დადგენას. ასეთ კრიტერიუმს წარმოადგენს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების შესაბამისობა საეკონომიკური დავალებებთან; ამოსავალ ერთეულად კი ანალიზის პროცესში უნდა ჩავთვალოთ დავალება-პოზიცია, რომელშიც იგულისხმება ცალკეული თემების ან სამუშაოს მიხედვით ყველა სახის რესურსების აღნუსხვა. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს ანალიზისთვის სასურველ მონაცემთა საიმედოობას.

პროგრამის უკვე დასრულებულ სამუშაოთა ანალიზი, რომელსაც ვუწოდოთ შუალედური შედეგები გვიჩვენებს, რომ თანაფარდობა სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებსა და იმ სამუშაოებს შორის, რომლებიც მთავრდება სამრეწველო



ათვისებით, გადახრილია ამ უკანასკნელის მხარეს. კერძოდ, სულ 49 სამუშაოდან 60,1% სამუშაოებისა ველისნობის დამზადებული ახალი პროდუქციის სამრეწველო ათვისებას. ფულად გამოხატულებაში კი ეს შეადგენს მთელი გაწეული სახსრების 66,5%. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს პროგრამის დიდ სახალხომეურნეობრივ მნიშვნელობას.

პროგრამის ეკონომიკური ანალიზის მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს სამუშაოთა ანალიზი სტრუქტურის მიხედვით. პროგრამის რეალიზაციის ცალკეულ ეტაპზე სრულდება სამეცნიერო-კვლევითი თემები, ხორციელდება ახალი პროდუქციის გამოშვება სერიული და ექსპერიმენტალურ-საცდელი წარმოებისთვის და ა. შ. სამუშაოთა სტრუქტურის ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვლინდეს პროგრამის შედარებით ძვირად ღირებული ეტაპები, დადგინდეს მათი ხანგრძლივობა, რაც განპირობებულია გამოკვლევა-წარმოების ციკლის შემცირების აუცილებლობით. ზემოაღნიშნულ პროგრამაში ყველა ეს სამუშაოები გაერთიანებულია ერთ — სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების — გრაფაში. ასევე ერთიანად არის წარმოდგენილი მათზე გამოყოფილი სახსრებიც. აღნიშნული მდგომარეობა აძნელებს სახსრების აღრიცხვასა და ანალიზს. ამიტომ, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი იქნებოდა, შემსრულებელი ორგანიზაციების ანგარიშებში სამუშაოები წარმოდგენილი ყოფილიყო სახეების მიხედვით.

რამდენადაც ანალიზის ჩატარების დროს პროგრამით გათვალისწინებული იყო მხოლოდ სამუშაოთა ნაწილის დამთავრება, ჩვენ შევეცადეთ სამუშაოთა სტრუქტურის დასადგენად ჩაგვეტარებინა ე. წ. გამსვლილებული ანალიზი, რომლის შედეგები გვიჩვენებენ, რომ დაგეგმილი სახსრების ძირითადი ნაწილი მიმართულია საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე, რომლებიც უნდა დასრულდეს დანერგვით. დანახარჯები ამ სახის სამუშაოებზე შეადგენს 33,0%. ეს კი პროგრამის შეფასების დადებითი მაჩვენებელია, რამდენადაც მიუთითებს დანერგვის დიდ მნიშვნელობაზე.

პროგრამის ანალიზის დროს მიზანშეწონილია, მოვახდინოთ ახალი ნაწარმის ტექნიკური დონის ანალიზი. ამ შემთხვევაში სასურველია ვიხელმძღვანელოთ შემდეგი მაჩვენებლებით: პირველად მსოფლიოში ან კავშირში დამუშავებული პროდუქციის ხვედრითი წილი მთელ პროდუქციაში; უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წილი, რეგისტრირებული გამოგონებების რაოდენობა; სამეცნიერო გამოკვლევების გამოყენების ლიცენზიურ-ხელშეკრულებათა რაოდენობა.

ჩვენ მიერ გაანალიზებულ პროგრამაში მთელი რიგი ეტაპებისა და დავალებების დაუსრულებლობის გამო ახალი ნაწარმის ტექნიკური დონის ანალიზი არ ჩატარებულა. შეიძლება აღინიშნოს მხოლოდ, რომ სპილენძის ფხვნილისა და მარგანეცის ორჟანგის მიღების ტექნოლოგიური პროცესი დაპატენტებულია აშშ-ში, კანადაში, ესპანეთსა და ინდოეთში.

პროგრამის ანალიზის დროს არ შეიძლება არ შევჩერდეთ შრომითი და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ანალიზზე, რის შედეგადაც დადგინდა, რომ აღნიშნული მაჩვენებლების წინასწარი დაგეგმვა ცალკეულ ეტაპზე, თემასა და სამუშაოზე ძნელდება. ეს მაჩვენებლები იგეგმება სამუშაოთა შესრულების მიმდინარეობის პროცესში. ჩვენი აზრით, გამართლებული იქნებოდა შრომითი და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გეგმური მაჩვენებლების თავიდანვე წარმოდგენა მათავე ორგანიზაციაში, ხოლო სამუშაოთა მიმდინარეობის პროცესში საპირობების შესაბამისად მათი კორექტირება.

როცა რესურსების ანალიზზე ვლავარაკობთ, განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას ფინანსური რესურსების ანალიზს. პროგრამის ღონისძიებათა დაფინანსება ძირითადად ხორციელდება წყაროებიდან:

სახელმწიფო ბიუჯეტი (უმეტესი ნაწილი), მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ერთიანი ფონდი, და სამეურნეო ხელშეკრულებები სხვა ორგანიზაციებთან. პროცენტულ გამოხატულებაში სახსრები წყაროების მიხედვით ასეა წარმოდგენილი: სახელმწიფო ბიუჯეტი — 46,4%, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ერთიანი ფონდი — 43,7%; სამეურნეო ხელშეკრულებები სხვა ორგანიზაციებთან — 9,9%.

უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსური სახსრების განაწილების დროს განსაკუთრებით მაღლდება მოთავე ორგანიზაციის როლი, როგორც ანალიზი გვიჩვენებს, დავალებების და თემების დაფინანსება პროგრამებში ხდება სხვადასხვა ორგანიზაციებიდან, რომელთა რაოდენობა ზოგჯერ 5-7 ორგანიზაციამდე აღწევს. ეს, თავის მხრივ, ართულებს განაწილებული ფინანსური სახსრების აღრიცხვასა და კონტროლს. ამიტომაც პრიორიტეტი ამ შემთხვევაში უნდა ეკუთვნოდეს პროგრამის მოთავე ორგანიზაციას, რომელიც მოახდენს მთელი სახსრების მობილიზაციას და მათი საჭიროების მიხედვით განაწილებას.

ფუნქციური მეტალურგიის პროგრამის ძირითადი დავალებების მიხედვით სახსრები განაწილებულია შემდეგნაირად (ცხრილი 2).

ცხრილი 2

კომპლექსური პროგრამის სახსრების განაწილება დავალებების მიხედვით

დავალებები (შიფრები)	ფინანსების მოცულობა (ათას მან.)			იჯ.ვე % გამოხატ.	
	მთ შორის			სამეც. კვლევითი სამუშაოები	კაპიტალდაბან- დებები
	სულ	სამეც. კვლევით სამუშაოებზე	კაპიტალდაბან- ბანდ.		
01	2000	1070	930	53,5	46,5
02	600	200	400	33,3	66,7
03	700	400	300	57,1	42,9
04	1260	760	500	60,0	41,0
სულ:	4550	2420	2130		

როგორც ცხრილიდან ჩანს, 04 და 03 დავალებებში მეტი ხვედრითი წილით არის წარმოდგენილი სახსრები სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე — შესაბამისად 60,0% და 57,1%; 02 დავალებაში მეტი ხვედრითი წილი მოდის კაპიტალდაბანდებებზე — 66,7% (მთელი დანახარჯებისა). სახსრების ასეთი განაწილება განპირობებულია აღნიშნულ დავალებაში თავმოყრილი სამუშაოების ხასიათით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთელი რიგი თემები გარდამავალი რჩება მომდევნო წლებისთვის, რაც, თავის მხრივ, იწვევს სახსრების დადგენილი ლიმიტის გადახარჯვას. ამიტომ ჩვენი აზრით, საჭიროა განხორციელდეს მთლიანი ფინანსური სახსრების დანაწილება ცალკეულ ეტაპებზე წყაროების მიხედვით, რათა გადახარჯვის შემთხვევაში უფრო სრულად იქნეს გამოყენებული არა მარტო სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები, არამედ სამეურნეო ხელშეკრულებები და დაფინანსების სხვა ისეთი დამატებითი წყაროები, როგორცაა — ბანკის კრედიტი, საფინანსო სახსრების რეზერვი პროგრამის შემსრულებელი ორგანიზაციებიდან და სხვ.

ფინანსური სახსრების ანალიზის დროს სასურველია მოვანდინოთ ანალიზი



დანახარჯთა ელემენტების მიხედვითაც. ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, რომ ხელფასის ხვედრითი წილი მთლიან დანახარჯებში შეადგენს 57-59%; ხოლო სტატია „მასალები და მკომპლექტბელი ნაწარმი“ და „სპეც-მოწყობილობა“ მხოლოდ 15-17%-ია, ეს გარემოება გამოწვეულია ტექნიკური აღჭურვილობის დაბალი დონით მთლიანად რესპუბლიკაში კავშირთან შედარებით.

ეკონომიკური ანალიზის საბოლოო ეტაპს წარმოადგენს პროგრამის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტების განსაზღვრა.

სოციალურ-ეკონომიკური ეფექტურობის საკითხები, სცილდება რა ჩვენი კვლევის ობიექტს მოცემულ ეტაპზე, ცალკე შესწავლის საგანს წარმოადგენს.

ამრიგად, კომპლექსური პროგრამის ეკონომიკური ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ სტატისტიკური აღრიცხვის არსებული სისტემა სრულად ვერ პასუხობს კომპლექსური, სისტემური მიდგომის მოთხოვნებს და არ ასახავს პროგრამის რეალიზაციის ზოგიერთ მხარეს; ანგარიშები შემსრულებელ ორგანიზაციებში უნდა დგებოდეს ცალკეული ეტაპისა და დავალების შესრულების შემდეგ და სისტემატურად იგზავნებოდეს მოთავე ორგანიზაციაში.

პროგრამის შესრულებაზე გამოყოფილი სახსრების განაწილებისა და გამოყენების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ეს სისტემაც მოითხოვს სრულყოფას; მიზანშეწონილია ფინანსური სახსრები წარმოდგენილ იქნეს არა მხოლოდ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებსა და კაპიტალდაბანდებებზე გამოყოფით, არამედ დაფინანსების წყაროებისა და დანახარჯთა ელემენტების მიხედვითაც.

ანალიზმა ასევე გვიჩვენა, რომ ანგარიშებში ნაკლები ყურადღება აქვს დათმობილი შრომით და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების აღრიცხვას; ეს მაჩვენებლები კი, ჩვენი აზრით, მეტად მნიშვნელოვანია პროგრამის სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის ანალიზის დროს.

პროგრამის დავალებათა ანალიზმა ასევე გვიჩვენა, რომ მომავალში მიზანშეწონილია გავზარდოთ დაფინანსების სამეურნეო ანგარიშთანობის წყარო, სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების პირვანდელ დონეზე შენარჩუნებით. იგი ხელს შეუწყობს პროგრამაში მონაწილე ინსტიტუტების დაინტერესების ამაღლებას დარგობრივი თემატიკის შესრულების საქმეში, რითაც კიდევ უფრო განამტკიცებს კავშირს მეცნიერებასა და წარმოებას შორის.

Ф. М. ТОПУРИДЗЕ

ЭКОНОМИЧЕСКИЕ АСПЕКТЫ РЕАЛИЗАЦИИ КОМПЛЕКСНЫХ НАУЧНО-ТЕХНИЧЕСКИХ ПРОГРАММ

Резюме

Рассмотрены экономические аспекты реализации комплексных научно-технических программ на примере программы развития порошковой металлургии в Грузинской ССР. Проведен анализ ресурсного обеспечения, организации и хода выполнения программы. Выявлены недостатки в области финансирования, даны предложения по совершенствованию системы финансирования, организации выполнения и отчетности по комплексным республиканским целевым программам.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერებისა და განათლების ეკონომიკის განყოფილებამ

В. Г. ПАПАВА

ОБ УСЛОВИЯХ ПРОДУКТИВНОСТИ МЕЖОТРАСЛЕВОЙ МОДЕЛИ С ЧАСТИЧНО ПРОДУКТИВНОЙ МАТРИЦЕЙ

Решение динамических моделей межотраслевого баланса общественного продукта может быть сведено к классическому соотношению для статической модели $X = (I - A)^{-1}Y$ (где: X — вектор валовых выпусков; Y — вектор конечного продукта; A — матрица коэффициентов прямых затрат; I — единичная матрица), что, в свою очередь, создает реальные предпосылки обобщения свойств последней². В связи с этим исследуем свойства указанного соотношения при допущениях, характерных для динамических моделей.

Прежде всего отметим, что, в отличие от статической модели, для динамических моделей понятия продуктивности модели и неотрицательности матрицы решения $(I - A)^{-1}$ неидентичны: модель, как правило, имеет неотрицательное решение (о чем свидетельствуют разработанные для каждого типа динамической межотраслевой задачи специальные алгоритмы решения, обеспечивающие неотрицательность последнего), в то время как матрица $(I - A)^{-1}$ наряду с неотрицательными содержит и отрицательные элементы тоже.

Матрицу $A_{n \times n}$ разобьем на четыре блока:

$$A = \begin{pmatrix} A_{11} & A_{12} \\ A_{21} & A_{22} \end{pmatrix},$$

где: $A_{11} = (a_{ij})_{m \times m}$; $A_{12} = (a_{ij})_{m \times (n-m)}$; $A_{21} = (a_{ij})_{(n-m) \times m}$; $A_{22} = (a_{ij})_{(n-m) \times (n-m)}$.
 Неотрицательную матрицу A назовем частично продуктивной, если имеют место следующие условия³:

$$\sum_{j=1}^m a_{ij} < 1, \quad i = 1, 2, \dots, m, \quad (1)$$

С целью охраны безопасности личности короля, членов его семьи и дворца кодекс Хонг Дыка предусматривал особо строгие правила о королевской гвардии (вторая часть первого тома). По этим правилам, если телохранители короля неосторожно обнажали меч — они карались обезглавливанием. Карались также стрельба из лука в сторону дворца, вход и выход с нарушением установленного порядка дворца. К лицам, взбиравшимся по стенкам дворца, применялись ссылка, каторга или смертная казнь.

Наряду с жестокой системой наказания, кодекс предусматривал систему денежного вознаграждения и повышения должностных чинов доносчикам о совершенном преступлении.

Отвечая интересам господствующего класса и эксплуатирующего меньшинства, кодекс Хонг Дыка предусматривал композицию, которая была известна и уголовному законодательству других средневековых государств. Кроме этого, в кодексе были предусмотрены обстоятельства, смягчающие ответственность, и перечень категории людей, в отношении которых допускалось смягчение ответственности при назначении им наказания. Такие привилегии имели, например, родные и близкие короля; чиновники, длительное время служившие и помогавшие королю; люди «упорно» и «добросовестно» работавшие при династии; высокие гости короля и другие представители особой знати.

Наконец, согласно кодексу Хонг Дыка, любое лицо за совершение одного из «десяти особо тяжких преступлений» тоже подлежало строгому наказанию. При этом не устанавливались обстоятельства, смягчающие ответственность при назначении виновному наказания, запрещалась композиция, не допускалось освобождение от наказания в силу помилования. Следовательно, обеспечение «верховенства» абсолютной власти главы государства над всем обществом, защита неприкосновенности и «святости» особых привилегий короля, а также других интересов господствующего класса от всяких посягательств — сущность феодального государства Вьетнама как при ранних династиях, так и при династии Ле.

4. Кодекс Зя Лонга 1815 г. С начала XIX в. власть в свои руки взяла самая реакционная и последняя феодальная династия Вьетнама — Нгуен (1802—1945 гг.). Она образовала свое государство в результате контрреволюционной гражданской войны с помощью иностранных агрессивных сил и беспощадного подавления крестьянских волнений. Правители Нгуена укрепляли свое господство путем сосредоточения всей полноты законодательной, исполнительной и судебной власти в своих руках. Поэтому уголовное право при династии Нгуен было крайне реакционным. Оно было подчинено только одной задаче: восстановление и укрепление старого феодального правопорядка, защита устарелого самодержавия и прямое подавление любого посягательства на интересы эксплуататоров даже в форме обнаружения умысла. В 1815 г. был издан свод «Правила правящей династии Вьетнама» под названием «Кодекс Зя Лонга» — название первого короля династии, т. е. Нгуен Ань в годы своего правления (1802—1819 гг.).

Кодекс Зя Лонга, по существу, являлся полной копией свода законов маньчжурской династии Китайской империи. Об этом Жан Шено писал: «Не случайно этот новый кодекс носил на себе печать значительного влияния законов, обнародованных в Китае маньчжурской династией Цин. Снова, как и не раз. прежде, вьетнамский

привилегированный класс заимствовал у старого китайского режима средства для поддержания своей власти»¹⁹.

Кодекс Зя Лонга состоял из 398 статей и 22 томов, среди которых 9 томов (с 12 по 20) были посвящены вопросам уголовного права. Наряду с этим, в других статьях кодекса также была предусмотрена уголовная ответственность за различные деяния. Следовательно, по существу кодекс Зя Лонга был уголовным кодексом, основные положения которого (принцип коллективной ответственности, система наказания, общие начала назначения наказания, композиция, система денежного вознаграждения и повышения должностных чинов и т. д.) были заимствованы из кодекса Хонг Дыка 1483 г. Однако рядом с этим, кодекс Зя Лонга выделялся более суровым подавлением эксплуатируемых.

По этому кодексу, преступлением считалось большинство нарушений отношений в сферах административного, гражданского, семейного права, а также в области феодальной морали. Кодекс предусматривал принцип аналогии закона. Так, согласно ст. 43 кодекса, совершение деяния, не предусмотренного законом, каралось путем применения наказания за другое преступление, предусмотренное законом. Устанавливая принцип аналогии закона, кодекс Зя Лонга имел своей целью достижение последовательного осуществления неотвратимости наказания за любое «опасное» деяние, установленное феодальным государством. Кроме принципа аналогии закона, ст. 351 кодекса предусматривала т. н. «поступки, совершенные без разрешения». Эту статью применяли феодалы в тех случаях, когда они хотели наказать деяние, посягающее на интересы своего класса. Следует отметить, что принцип аналогии закона и наказуемость т. н. «поступка, совершенного без разрешения» выражали реакционный и консервативный характер феодального государства, в котором тяжким преступлением считалось малейшее нарушение частной собственности, привилегий феодального помещика²⁰.

По кодексу Зя Лонга, принцип коллективной ответственности применялся к преступлениям против власти, династии и короля. Например, согласно ст. 223 кодекса за измену либо бунт осужденный и соучастники наказывались четвертованием, его родные мужского пола старше 16 лет (дед, отец, братья, сыновья, внуки, зятья) — обезглавливанием, а родные мужского пола моложе 16 лет и все родные женского пола (бабушка, мать, сестры, жена, дочери, внучки, невестки) — отдачей в слуги знатым семьям.

Наряду с расширением объема и пределов уголовной ответственности, кодекс Зя Лонга предусматривал еще более варварские наказания. По этому вопросу Жан Шено писал: «Новый кодекс восстанавливал и усиливал наказания, предусмотренные кодексом династии Ле за сопротивление властям, за восстания и за измену»²¹.

По кодексу Зя Лонга, из пяти основных наказаний Китайской империи, телесные наказания (избиение палкой и избиение розгами) были предусмотрены во всех его статьях. В этом отношении режим, установленный феодалами при династии Нгуен, был в полном смысле слова палочным²². Например, ст. 80 кодекса устанавливала сто палочных ударов для виновных за уклонение от уплаты налогов и

¹⁹ Жан Шено. Указ. раб. с. 101.

²⁰ Курс советского уголовного права, т. 2, М., 1970, с. 6.

²¹ Жан Шено. Указ. раб., с. 102.

²² История Вьетнама..., с. 251.



населения от трудовой повинности, и от десяти до пятнадцати палочных ударов для ремесленников, скрывавшихся от трудовой повинности. Среди дополнительных наказаний, клеймение было самым распространенным. Таким образом, система наказания в уголовном праве при династии Нгуен была классической системой наказания феодального уголовного законодательства, имевшей крайне жестокий характер²³. Особо следует отметить, что в кодексе Зя Лонга были конкретно и точно предусмотрены размер, форма, материалы для изготовления орудий пытки (кнул, палка, оковы, колодка, ручные кандалы и многие другие), а также способы применения каждого из них к осужденным. Все это вновь свидетельствует о крайне реакционной и нечеловечной сущности династии Нгуен по сравнению с ранними феодальными династиями Вьетнама.

Характерной чертой кодекса Зя Лонга было отрицание принципа индивидуализации наказания, так как за каждое преступление законодатель устанавливал абсолютно определенное наказание. Такая устойчивая система наказания не давала возможности судебным органам индивидуализировать наказание с учетом характера и степени конкретного преступления и личности, его совершившего.

О денежном выкупе за преступление при династии Нгуен Жан Шено писал: «Народ живет в невероятной нищете. Король и мандарины угнетают народ самым возмутительным образом. Правосудие во власти денег. Богатый может безнаказанно притеснять бедняка, так как он уверен, что при помощи денег ему удастся привлечь правосудие на свою сторону»²⁴.

По кодексу Зя Лонга к «десяти особо тяжким преступлениям» широко применялась система денежного вознаграждения и повышения должностных чинов. Одновременно строго каралось недоносительство. Ст. 223 кодекса предусматривала денежное вознаграждение доносчику о совершенной измене либо бунте, а за задержание виновного — повышение чиновнической должности (для гражданских) и повышение звания (для военнотружущих). По той же статье лицо за недонесение о совершенных тех же преступлениях каралось обезглавливанием.

Кодекс Зя Лонга явно выражал классовое неравенство при назначении наказания, строгость которого зависела от социальной принадлежности виновного. Кодекс прямо предусматривал более строгое наказание за одно и то же преступление, но совершенное младшим в отношении старшего, простым гражданином в отношении чиновника, солдатом в отношении офицера, слугами в отношении своего хозяина и т. д. Так, ст. 236 кодекса, обеспечивая защиту чиновникам феодального государства, предусматривала ссылку за избиение сборщиков налогов. По кодексу Зя Лонга, не признавалось преступлением убийство мужем своей жены, если он застал ее во время прелюбодеяния. При этом, если жена не была убита, она каралась за измену супружеской верности.

5. Таким образом, анализ основных черт феодального уголовного права Вьетнама при различных династиях позволяет сделать следующие общие выводы.

Во-первых, феодальное уголовное право Вьетнама на всех этапах его существования всегда было антинародным уголовным правом. Оно

²³ Динь Зя Чинь. Указ. раб., с. 280.

²⁴ Жан Шено. Указ. раб., с. 104.



имело задачей охрану государственного и общественного строя, частной собственности, интересов и привилегий господствующего класса, всего феодального правопорядка от посягательств, а также подавления сопротивления народных масс, в основном крестьянства.

Во-вторых, в феодальном уголовном праве Вьетнама основным институтом признавался принцип коллективной уголовной ответственности, который применялся к преступлениям, посягающим на безопасность государства, личность и особые привилегии его главы — короля.

В-третьих, система наказания феодального уголовного права Вьетнама была крайне жестокой. Она была в основном системой наказания средневекового уголовного права Китая, имевшей целью причинение физических страданий, так как «первым и главным средством в борьбе с преступностью в условиях эксплуататорских формаций всегда было уголовное наказание»²⁵.

И, наконец, в-четвертых, феодальное уголовное право Вьетнама открыто провозглашало классовое неравенство. Это явно проявлялось не только в ненаказуемости за преступления, но и во взглядах феодалов на некоторые преступления. Маркс еще в молодости дал характеристику феодальному уголовному праву, закрепляющему положение классового неравенства: «Что для одной стороны — право, то для другой — правонарушение»²⁶, или «Один имеет право делать то, на что другой не имеет права»²⁷.

В заключение следует отметить, что, хорошо замечая такую антинародную сущность вьетнамского феодального уголовного права, после завоевания Вьетнама в середине XIX в. французские колонизаторы продолжали применять кодекс Зя Лонга до введения в действие их кодекса Наполеона в Южном Вьетнаме (1877 г.) и издания полуфеодально-колониальных УК Северного Вьетнама (1921 г.), УК Центрального Вьетнама (1933 г.).

²⁵ Карпец И. И. Наказания: социальные, правовые и криминологические проблемы. М., 1973, с. 10.

²⁶ Маркс К., Энгельс Ф. Соч., т. I, с. 16.

²⁷ Там же, с. 15.

6. „მაცნე“, ეკონომიკისა და სავაჭრობის სერია, 1986, № 1



განხილვის წიგნი

საკუთრების სამართლებრივი ურთიერთობის განხილვისათვის

საკუთრების სამართლებრივი ურთიერთობა ესაა აბსოლუტური, ნივთობრივი სამართლებრივი ურთიერთობა. აბსოლუტური, ტრადიციული გაგებით, გულისხმობს იმას, რომ მესაკუთრის, როგორც უფლებამოსილი სუბიექტის, წინაშე დგას ვალდებულ პირთა განუსაზღვრელი წრე. ნივთობრივის ცნება გულისხმობს, რომ მესაკუთრის ინტერესების დამაყოფილებსათვის საჭიროა მის წინაშე მდგარ ვალდებულ პირთა პასუხობა. ამდენად, საკუთრების სამართლებრივ ურთიერთობაში ერთ მხარეზეა უფლება, ყველა დანარჩენზე — მოვალეობები. ბუნებრივია, რომ ამ ურთიერთობის რეალიზაციაც აღნიშნულ უფლება-მოვალეობათა ფარგლებში უნდა მოხდეს. მაგრამ საკუთრების სამართლებრივი ურთიერთობისადმი ამგვარი მიდგომა ცალმხრივი იქნებოდა. ამ ურთიერთობაში მესაკუთრე არა მარტო აქტიური სუბიექტია, არამედ პასიურიც მესამე პირთა მიმართ. მარტო ამ უკანასკნელთა კი არ ევალდებათ თავი შეიკავონ მესაკუთრის უფლებათა შელახვისაგან, არამედ მესაკუთრეც ვალდებულია თავის მხრივ არ მიუყენოს მათ ზიანი საკუთრების ობიექტით. კანონით აკრძალულია საკუთრების ობიექტების გამოყენება სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესების საზიანოდ. აკრძალულია პირადი საკუთრების ობიექტებით სხვაზე ზიანის მიყენება, მათი არაშრომითი შემოსავლის წყაროდ გადაქცევა. ბუნებრივია, მესაკუთრის ეს მოვალეობანი მესამე პირთა მიმართ ხშირად მისი პასუხობით ხორციელდება. ამდენად, როდესაც რაიმე კანონსაწინააღმდეგო მოქმედებისაგან თავის შეკავებაზე ვლაპარაკობთ (ცხადია, ზემოქმედების ობიექტი ქონებაა, როცა მესაკუთრის უფლებებზეა ლაპარაკი, ხოლო მესამე პირთა უფლებებზე მსჯელობისას შეიძლება იყოს, როგორც ქონება ისე სხვა სიკეთე), იგი საკუთრების სამართლებრივი ურთიერთობის ორივე მხარეს ეხება. ახლა შევხედოთ მოცემულ ურთიერთობას სუბიექტთა აქტიურობის კუთხით. ეს მოვალეობაც ორივე მხარეზე აღმოჩნდება. რა თქმა უნდა, მესაკუთრეს სრული უფლება აქვს, გამოიყენოს ან არ გამოიყენოს ქონება. თავისთავად ნივთის ფლობა და ყველა დანარჩენთა პასუხობა საკმარისია საკუთრებითი ურთიერთობის რეალიზაციისათვის. მაგრამ ყოველთვის ეს ასე არაა. ზოგჯერ მესაკუთრეს კატეგორიულად მოეთხოვება იაქტიუროს და სათანადოდ დიცივას — შეინახოს საკუთრების ობიექტი. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსით შესაძლებელია სახლის ჩამორთმევა უსასყიდლოდ თუ მოქალაქე არ უვლის და არაფრად მიიჩნევს მის ნგრევას, არ უკეთებს მას აუცილებელ რემონტს (მ. 137). ასევე სამოქალაქო სამართლის კოდექსის 138-ე მუხლით, თუ მოქალაქე არ უვლის თავის ქონებას, რომელსაც საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ისტორიული, მხატვრული ან სხვა ღირებულება აქვს, გაფრთხილების შემდგომ შესაძლებელია მისი სასყიდლიანი ჩამორთმევა

და სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადება. ამდენად, საკუთრების სამართლებრივი ურთიერთობის შიგნით მესაკუთრე ზოგჯერ აქტიური მოქმედების სუბიექტია. მხედველობაშია იმპერატიულობა, კანონით სავალდებულობა, თორემ საკუთრების არსებობას აზრი არ ექნება, თუ მესაკუთრე არ გამოიყენებს მას. იგივე მდგომარეობას დავინახავთ ჩვენ ამ სამართლებრივი ურთიერთობის მეორე მხარეზე. რა თქმა უნდა მესაკუთრის უფლებების რეალიზაცია ამ სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში ძირითადად მესამე პირთა პასიურობას მოითხოვს. ასე არაა მდგომარეობა ყოველთვის. ჯერ ერთი საჭიროა საკუთრების ობიექტის მოვლა-შენახვა მისი გამოყენების პროცესში (ვთქვათ, ვახდენთ ავტომანქანის ან სხვა ობიექტის შეკეთებას); ან კიდევ საჭიროა საკუთრების დაცვა და სხვა. ყველა ამ შემთხვევაში მესამე პირთა წრე უფრო შემოფარგლულია. სწორედ ამ შემთხვევებში მესამე პირთა აქტიური მოქმედება გარკვეულად იმპერატიულადაა დადგენილი. საკუთრების ობიექტი რომ შევაკეთოთ, ამისათვის საჭიროა სახელშეკრულებო ურთიერთობებში შესვლა მესამე პირებთან. იმპერატიულობაში ჩვენ გვესმის სწორედ მესამე პირთა მხრიდან გარიგების დადებაზე უარის თქმის შეუძლებლობა. არსებობს სპეციალური ორგანიზაციები, რომლებიც მოწოდებული არიან მოემსახურონ მესაკუთრეებს. ამ ვითარებაში მოცემული ვალდებულებითი ურთიერთობით სარგებლობს მესაკუთრე და მისი დამყარების მიზანია საკუთრების ობიექტის ნორმალურ მდგომარეობაში შენარჩუნება. მეორე მხარე საკუთრების ობიექტის სიკეთით არ სარგებლობს. საკმარისია ჩვენი საკუთრება იქცეს „სხვის საკუთრებად“ (ამ სიკეთით სხვაშეცხადის სარგებლობს), რომ ჩვენ აღმოვჩნდეთ ტრადიციულ ვალდებულებით ურთიერთობაში. თუმცა აქაც ვალდებულებათა ერთი კატეგორია არსებული საკუთრებითი ურთიერთობის, საკუთრების აბსოლუტური უფლების სრულ რეალიზაციას ემსახურება. სწორედ აქაა საკუთრება დინამიკაში. ნივთის განკარგვა ვასხვისებით არსებული საკუთრებითი ურთიერთობის დასასრულს მოასწავებს კონკრეტული მესაკუთრისათვის. მაგრამ მესამე პირთა პასიურობა-აქტიურობა მარტოოდენ მესაკუთრის მიმართ არ არსებობს. ტიტულიან მფლობელსაც (დამქირავებელს) შეუძლია მოითხოვოს მათგან ამგვარი ქცევა. მართალია, აქ სახელშეკრულებო ურთიერთობაა სახეზე, მაგრამ პასიურად ყოფნის მოვალეობა მესაკუთრის მიმართ ყოველთვისაა. ჩვენ ვთქვით, საჭიროა საკუთრების უფლების დაცვა. მესამე პირთა პასიურობა რომ უზრუნველყვოდ, საჭიროა გარკვეულ პირთა აქტიური მოქმედება. ამგვარი მოქმედების მოვალეობა საკუთრებითი ურთიერთობის ფარგლებში უნდა ვეძებოთ. უფლების დაცვა ხდება დარღვევამდე და მისი დარღვევის შემდეგ. ორივე შემთხვევაში სხვა პირთა წრე გარკვეულად დაკონკრეტებულია. სხვა პირებმა (მხედველობაშია პირთა განუსაზღვრელი წრე) თავი უნდა შეიკავონ მესაკუთრის ქონების ქურდობისაგან, დაზიანებისაგან ან სხვა სამართალდარღვევისაგან, რაც ხელს უშლის მესაკუთრეს ქონების ნორმალურად სარგებლობაში, განკარგვაში. ეს მოვალეობანი სამართლის სხვადასხვა დარგებითაა დადგენილი. ისინი აბსტრაქტული, ზოგადი ზემოქმედების ვითარებაში საკუთრებითი ურთიერთობის შინაარსის ელემენტებია. თუმცა ამგვარი მოვალეობანი არსებობს საზოგადოებაში არსებულ სხვა სიკეთის მიმართაც. ყველა ვალდებულია თავს იკავებდეს სხვისი ჯანმრთელობის დაზიანებისაგან, პატივისა და ღირსების შელახვისაგან. მაგრამ სამართლის ზოგიერთი დარგის სიცოცხლე ამ მოვალეობათა დარღვევის გარეშე არ იწყება. საკმარისია ქურდობის ფაქტი, რომ სისხლის სამართალში



თლებრივი ურთიერთობა გაჩნდეს. ამდენად, საკუთრებითი ურთიერთობა უნდა განვიხილოთ სტატიკასა და დინამიკაში. როცა საკუთრების ობიექტის სიკეთით სარგებლობს მარტოოდენ მესაკუთრე (ნიეთის მოხმარება პირადი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად), აქ მისი სტატიკა გვაქვს მარტოოდენ. ხოლო, როდესაც საკუთრების სიკეთით სარგებლობს სხვაც (ქირავნობა, თხოვება) აქ მისი დინამიკა სახეზე. არსებული ვალდებულებითი ურთიერთობა არ აუქმებს საკუთრების ტრადიციული გაგებით. სტატიკა შედარებით მარტივ ურთიერთობას გულისხმობს და აქ მესაკუთრის უფლება ნივთზე უფრო ფართოა, ვიდრე დინამიკის პროცესში, რაც ურთიერთობათა გართულებას და ინტერესთა ზრდას მოასწავებს.

სამოქალაქო კანონმდებლობა მაქსიმალურად იცავს მესაკუთრის ინტერესებს. მომავალში კვლავაც გაიზრდება ამ უფლების დაცვის გზები. ამისათვის საჭიროა საკუთრების სამართლებრივი ურთიერთობის სრული რეალიზაცია. ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ მესამე პირთაგან ზოგჯერ აქტიურობა საჭირო მესაკუთრის უფლებამოსილება რომ იქნას დაცული. ეს აქტიურობა კი საჭიროა როგორც ამ ურთიერთობის დარღვევამდე, ისე მისი დარღვევის შემდგომ. ამიტომ ამ მოვალეობის შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობის გაზრდა მესაკუთრის ინტერესების დაცვას ხელს შეუწყობდა. ეს იმის შესაძლებლობასაც მოგვემდღა, რომ ზოგჯერ ინტერესთა დაპირისპირებისგანაც განვთავისუფლებულიყავით. (მხედველობაში გვაქვს ვინდიკაციის პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობანი).

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორმა.

როგორც ცნობილია, უკანასკნელ წლებში დაწესდა მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა რესპუბლიკური შეხვედრები, სადაც იხილავენ შესაბამისი მეცნიერების სფეროში წარმოქმნილ საჭირობოროტო საკითხებს. ამ კარგ ტრადიციას მხარი აუბენ აგრეთვე ქართველმა სწავლულმა იურისტებმაც, რომელთა პირველი თავშეყრა მოხდა ქ. ქუთაისში 1984 წ. 26—27 ოქტომბერს. ეს ღონისძიება მოეწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თაოსნობით.

შეხვედრა გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკად. ე. ხარაძემ. შესავალი სიტყვა წარმოთქვა და შეხვედრის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე. პლენარულ სხდომაზე სწავლულმა იურისტებმა წაიკითხეს მოხსენებები. ამის შემდეგ შეხვედრის მონაწილენი დაიყვნენ სექციებად. სულ ჩამოყალიბდა სამი სექცია: 1) სახელმწიფო სამართლის, სამართლის თეორიისა და საბჭოთა აღმშენებლობის, 2) სამოქალაქო სამართლის და 3) სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო სამართლის და კრიმინოლოგიის.

ამ ნომერში ვაგრძელებთ იურისტთა ხსენებულ შეხვედრაზე წაკითხული მოხსენებების და სექციების სხდომებზე გაშრობულ მეცნიერთა მიერ წარმოთქმული სიტყვების ტექსტის ბეჭდვას (დასაწყისი იხ. „გაცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1985, 4).

გივი ინჟირავლი

ქართველ მეცნიერ-იურისტთა როლის ავალღებვისათვის
კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაში

ჩვენი ქვეყანა ემზადება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობისათვის. ყოველი ყრილობა უდიდეს როლს ასრულებს პარტიისა და მთელი ხალხის ცხოვრებაში, მაგრამ მომავალი ყრილობის მნიშვნელობას, პირველ ყოვლისა, ის გარემოება განსაზღვრავს, რომ მასზე მიღებული იქნება პარტიის პროგრამის ახალი რედაქცია, რომლის საფუძველზე ჩვენ მოვიხდებოდა მუშაობა ათეული წლების მანძილზე.

უკვე გამოქვეყნებულ სახელმძღვანელო მასალებიდან ნათელი ხდება, რომ პროგრამის ახალი რედაქცია საჭირო შეიქმნა იმიტომ, რომ ბოლო მეოთხედი საუკუნის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში მომხდარმა სერიოზულმა ეკონომიკურმა და სოციალურმა ცვლილებებმა მოითხოვეს ღრმა ანალიზი, მიმდინარე და გრძელვადიანი მიზნების დაზუსტება, მათი მიღწევის გზების დასახვა. პარტიამ წამოაყენა და დაასაბუთა სოციალიზმის გეგმაზომიერი და ყოველმხრივი სრულყოფის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარე-



ბის საფუძველზე საბჭოთა საზოგადოების თვისობრივად ახალი მდგომარეობის მიღწევის, კომუნიზმისაკენ შემდგომი წინსვლის კონცეფცია.

აქამდე გავრცელებულმა ზოგიერთმა დებულებამ ვერ გაუძლო დროის გამოცდას, ვინაიდან შეიცავდნენ რეალობას მოწყვეტის, მოვლენათა გასწრების, გაუმართლებელი დეტალიზაციის ელემენტებს. ამიტომ, საჭირო იქნება საზოგადოებრივი შეგნების ერთგვარი „ხელახალი ორიენტირება“. სწორედ ამაში მდგომარეობს თანამედროვე პერიოდში ჩვენი იდეურ-პოლიტიკური მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, ყველა საზოგადოებრივ მეცნიერებათა და მათ შორის იურიდიული მეცნიერების საზრუნავი. წამოყენებული კონცეფციიდან გამომდინარე, პარტია პირველხარისხოვნად თვლის იურიდიულ მეცნიერებასთან უშუალოდ დაკავშირებულ ისეთ პრობლემებს, როგორცაა სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი სრულყოფა, საბჭოთა პოლიტიკური სისტემის, სოციალისტური სახელმწიფოებრიობის, ხალხის თვითმმართველობის ყველა ფორმის განვითარება. აქედან კი გამომდინარეობს თეორიულად დასამუშავებელი უფრო კონკრეტული საკითხები: სახალხო დემუტატთა საბჭოების როლის შემდგომი ამაღლება, საბჭოთა კანონმდებლობის სრულყოფა ახალი კონსტიტუციის საფუძველზე კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცება, მოსახლეობის უფრო ფართოდ ჩაბმა სახელმწიფოს საქმეთა მართვაში.

გვიჭრობ, სწორედ თითოეული ამგვარი პრობლემა უნდა გახდეს განხილვის საგანი საქართველოს მეცნიერ-იურისტთა მომდევნო შეხვედრებში. მიმდინარე შეხვედრის თემა კი მეტად ზოგადია და ფაქტიურად ყველა სამართლებრივ ინსტიტუტებს მოიცავს. შემოთავაზებული მოხსენებების უმრავლესობაც რომელიმე ერთ პრობლემასთან არ არის დაკავშირებული.

მომავალი შეხვედრის თემა ამთავითვე თუ შეირჩევა, მეცნიერ-იურისტებს შესაძლებლობა მიეცემა წინასწარ დაამუშაონ საინტერესო აქტუალური საკითხები, თავიანთი კვლევის შედეგები გააცნონ შეკრების მონაწილეებს. ასეთ ვითარებაში შეხვედრაზე შეიძლება შემუშავებულ იქნეს სახელმწიფო მშენებლობის პრაქტიკისათვის სათანადო მეცნიერული რეკომენდაციები.

დღევანდელ პირობებში მეცნიერ-იურისტები, ისევე როგორც სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა ყველა წარმომადგენელი, კარგად უნდა ერკვეოდეს კომუნისტური პარტიისა და სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებში, იყოს აქტიური პოლიტიკური მებრძოლი და უნარი შესწევდეს ყოველთვის დაიცვას თავისი პოზიცია, ამხილოს არსებული ნაკლოვანებანი ამ პოლიტიკის გატარებაში.

ამ მხრივ დიდი ზიანი მოაქვს ისეთ მანკიერებას, როდესაც ცდილობენ ამოფარონ აქტუალურ თემატიკას, როდესაც სამეცნიერო ნაშრომებს დაასათურებენ სოციალისტური სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემების საკითხებით, შინაარსი კი სულ სხვაა, თანაც გადაწერილი რუსი ავტორების მოძველებული ნაშრომებიდან. არაკომპეტენტური და არაობიექტური რეცენზენტების წყალობით, თანაც ამა თუ იმ თანამდებობის პირის გაუმართლებელი მხარდაჭერით, ზოგიერთი ავტორი ახერხებს სქელტანიანი წიგნების გამოქვეყნებას, რომლებსაც არავითარი თეორიული ღირებულება და პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს. ეს მაშინ, როდესაც ქა-

ღალდის ნაკლებობის გამო ვერ ხერხდება საჭირო რაოდენობით ნორმატიული მასალის გამოცემა.

საბჭოთა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა, მათ შორის იურიდიული მეცნიერების როლის ამაღლებასთან დაკავშირებით არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს მეცნიერ-იურისტთა წარმომადგენლობას რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიაში. განსხვავებით სხვა მეცნიერებებისაგან და განსხვავებით სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისაგან ამჟამად ქართული იურიდიული მეცნიერების არც ერთი წარმომადგენელი არ არის აკადემიაში მისი ნამდვილი წევრის ან წევრ-კორესპონდენტის სახით, მაშინ როდესაც ქართველ მეცნიერ-იურისტებს არანაკლები მიღწევები გააჩნიათ ვიდრე ქართველ ისტორიკოსებს, ეკონომისტებს, ფილოსოფოსებს. ბევრმა ქართველმა იურისტმა თავისი ნაშრომებით ფართოდ გაითქვა სახელი ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. მე მხედველობაში მყავს პირველყოვლისა, ჩემი კოლეგები, თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორები სერგო ჯორბენაძე, ლევან ალექსიძე, შალვა ჩიკვაშვილი, აგრეთვე მეცნიერებათა აკადემიის სამართლის სექტორის მთელი რიგი თანამშრომლები. დარწმუნებული ვარ, რომ ეს გაუგებარი იგნორირება ქართველ მეცნიერ-იურისტებისა შეწყდება და მეცნიერებათა აკადემიაში ვაკანსიების გამოცხადების დროს სათანადო ადგილები სამართალმცოდნეებსაც დაეთმობა.

აპოლონ ფალიაშვილი

დანაშაულოების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები თანამედროვე პირობებში

1. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და ადმინისტრაციული ორგანოები დიდ ყურადღებას უთმობენ სოციალისტური საკუთრების დაცვას. სტატისტიკური მონაცემები მოწმობენ, რომ სოციალისტური ქონების გატაცება ჯერ კიდევ წარმოადგენს გავრცელებულ დანაშაულს. ამ დანაშაულის საშიშროება იმაში გამოიხატება, რომ იგი გრძელდება გარკვეული დროის განმავლობაში და მისი ჩადენა არ ამოწურება ერთეული ფაქტებით. ასეთი დანაშაული ხშირად ჯგუფურია და მის ჩადენაში მონაწილეობს ის, ვისაც მინდობილი აქვს სოციალისტური ქონების დაცვა, მოვლა-პატრონობა და კონტროლი. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სოციალისტური ქონების გამტაცებლების საქმიანობა დაკავშირებულია სხვა დანაშაულთან: მექრთამეობასთან, თანამდებობის ბოროტად გამოყენებასთან, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაშეცემასთან, სამსახურებრივ სიყალბესთან, სპეკულაციასთან და მკვლელობასთანაც კი.

სოციალისტური ქონების დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის დარგში ჯერ კიდევ შეიმჩნევა ნაკლოვანებები. ყველგან და ყოველთვის ეფექტურად არ ებრძვიან ამ დანაშაულს. სათანადო რეაგირება არ ხდება მშრომელთა განცხადებებზე, და საჩივრებზე რომლებიც მიუთითებენ სოციალისტური ქონების დატაცების ფაქტებზე; შეიმჩნევა ნაკლოვანებები კადრების შერჩევაში, განაწილებაში და დაწინაურებაში. უნდა გაუმჯობესდეს და გადახარისხდეს სარევიზიო-საკონტროლო აპარატის მუშაობა, რომლებიც, ზოგ შემთხვევაში, ვერ აღგენენ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცების აშკარა ფაქტებს.

რა ფორმითაც არ უნდა ხორციელდებოდეს სოციალისტური ქონების დატაცება, იგი მიმართულია ჩვენი საზოგადოების ეკონომიკური საფუძვლების შესუსტებისაკენ და წარმოადგენს სერიოზულ დანაშაულს როგორც თავისი შედეგებით, ისე ხასიათითაც.

2. საბჭოთა აპარატის თანამშრომლების დიდი უმრავლესობა კეთილსინდისიერად და პატიოსნად ეკიდება თავის სამსახურებრივ მოვალეობას, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც პირადი გამდიდრების მიზნით, იდენენ ისეთ მძიმე დანაშაულს, როგორცაა მექრთამეობა. მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლას არ დაუკარგავს აქტუალობა თანამედროვე პირობებშიც.

მექრთამეობის განსაკუთრებული საშიში ხასიათი იმაში გამოიხატება, რომ იგი ხელყოფს საბჭოთა სახელმწიფო აპარატის ნორმალურ მუშაობას, შეუძლია მიაყენოს მას სერიოზული ზიანი, შეასუსტოს სახელმწიფო დისციპლინა, სახელი გაუტეხოს საბჭოთა სახელმწიფო აპარატის ავტორიტეტს

მშრომელთა თვალში, იგი აგრეთვე ხელყოფს ცალკეულ მოქალაქეთა კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს.

თანამედროვე პირობებში ადმინისტრაციული ორგანოების კარგი მუშაობის შედეგად მექრთამეობის ბევრი შემთხვევა გამოძლეანდა და დამნაშავე პირები სამართლიანად დაისაჯნენ. მაგრამ, ამასთან ერთად, საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებმა ყოველი მექრთამეობის საქმის გამოძიება-განხილვის დროს უნდა დაადგინონ ის ხელშემწყობი პირობები და მიზეზები, რამაც გამოიწვია ან გააადვილა მექრთამეობა. შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეშვეობით უნდა გატარდეს გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკური ღონისძიებანი მექრთამეობის წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლას და ყოველი მექრთამის გარდაუვალ პასუხისმგებლობას შეუძლია მკვეთრად შეამციროს და აღმოფხვრას ისეთი მძიმე დანაშაული, როგორცაა მექრთამეობა.

3. თანამედროვე ეტაპზე ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ დაკმაყოფილებულ და უზრუნველყოფილ იქნეს მოსახლეობის მზარდი მოთხოვნები. ასეთ ვითარებაში სპეკულაციის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოების ერთ-ერთ ძირითად ამოცანას. სპეკულაციის მეშვეობით ხელოვნურად იზრდება მოთხოვნები საქონელზე, თავს იჩენს საქონლის დეფიციტურობა. სპეკულაციის ჩამდენი უშრომლად მდიდრდება, მასში უზომოდ ვითარდება კერძომესაკუთრული ტენდენციები, სპეკულანტი ეჩვევა მუქთახორულ და პარაზიტულ ცხოვრებას. ყოველი მოქალაქე, რომელიც სპეკულაციური გზით იძენს მოხმარების საგნებს, ნებით თუ უნებლიედ ხელს უწყობს სპეკულაციის განვითარებას. სწორედ ამიტომ ისინი საყოველთაო გაიციხვას იმსახურებენ.

სპეკულაცია ჯერ კიდევ წარმოადგენს გავრცელებულ დანაშაულს. იმისათვის, რომ შემცირდეს ეს დანაშაული მილიციისა და საგამოძიებო ორგანოებმა უნდა გაააქტიურონ ბრძოლა ამ დანაშაულის ჩადენის ყოველი ფაქტის გამოძიებასთან დაკავშირებით, უნდა გამოაშკარავონ ამ დანაშაულის ყოველი მონაწილე, ხელშემწყობი, წამქეზებელი, დამხმარე. ასეთი კატეგორიის საქმე უფრო ხშირად უნდა იხილებოდეს საზოგადოებრივი ბრალმდებლის მონაწილეობით, სასამართლოს გამსვლელ სესიებზე იმ დაწესებულებებში, სადაც მუშაობს ან სწავლობს დამნაშავე. სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს განხილული მშრომელთა კოლექტივის კრებებზე.

4. შრომა საბჭოთა სახელმწიფოში პატივის, ღირსების საქმეა და ყველა შრომისუნარიანი მოქალაქის მოვალეობაა, მაგრამ ჯერ კიდევ არიან ჩვენში ადამიანები, რომლებიც თავს არიდებენ შრომას, ცხოვრობენ სხვის ხარჯზე, ეწევიან პარაზიტულ ცხოვრებას, მათხოვრობას, მაწანწალობას. აქცევს რა აღნიშნულ საკითხს დიდ ყურადღებას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა არაერთხელ განიხილა რესპუბლიკაში მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საკითხი.

მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ითქვას, რომ მუქთახორობისა და პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენს რესპუბლიკაში ყველგან და ყოველთვის მიმდინარეობს თანაბრად და მიზანსწრაფულად. ზოგ შემთხვევაში შინაგან საქმეთა ორგანოები, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული აღმასრულებელი კომიტეტები მუქთახორობასთან ბრძოლის დროს ამჟღავნებენ ფორმალიზმს, ძალიან ნელა და სუსტად ავლენენ მუქთა-

ხორებს, არ ლებულობენ ეფექტურ ღონისძიებებს მათი შრომითი მოწყობისათვის.

თანამედროვე პირობებში ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ გარდაიქმნას და გაუმჯობესდეს ადგილობრივი ორგანოების, მილიციის, პროკურატურის და სასამართლოების მუშაობა მუქთახორებისა და პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის დარგში. ყველა მუქთახორას და პარაზიტული ცხოვრების მოყვარულს უნდა შეექმნას შინაგანი რწმენა, რომ მისი მოქმედება არ დარჩება შეუმჩნეველი და დაუსჯელი. მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება მუქთახორობისა და პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა და ამ მანკიერების აღმოფხვრა.

5. ერთ-ერთი დანაშაული, რომლის აღკვეთაც თანამედროვე პირობებში პირველხარისხოვან ამოცანას წარმოადგენს, არის ხულიგნობა. იგი საკმაოდ გავრცელებული დანაშაულია. პარტია და მთავრობა ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობს ხულიგნობის წინააღმდეგ ბრძოლას. კანონმა გააძლიერა ხულიგნობისათვის აღმინისტრაციული, მატერიალური, სიძხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, შეამჭიდროვა ხულიგნობის საქმეთა მოკვლევის, წინასწარი გამოძიების და სასამართლოში საქმის განხილვის ვადები, ააძლიერა საზოგადოებრიობის როლი, დააწესა დამატებითი გარანტიები ხულიგნობის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატებით განხორციელებისათვის.

თანამედროვე პირობებში ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მკვეთრად შემცირდეს ხულიგნობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევები. მომკვლევმა, გამოძიებელმა ისე უნდა წარმართოს თავისი მუშაობა, რომ ფართოდ გამოიყენოს მოქალაქეთა, სახალხო რაზმელთა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა დახმარება ხულიგნობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევებთან ბრძოლაში.

აღნიშნულ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს სხვა სახის დამნაშაევობასთან ბრძოლის შესუსტებას. შესაბამისმა სამართალდამცველმა ორგანოებმა თანამედროვე პირობებში ისე უნდა წარმართონ ბრძოლა დამნაშაევობის წინააღმდეგ, რომ ეფექტურად ებრძოდნენ ყველა სახის დანაშაულს.

ოთარ ბაგრატიონი

პრესა და მართლმსაჯულება

ქართული პერიოდული პრესის ფურცლებზე ხშირად ქვეყნდება ხოლმე დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის ამსახველი მასალები. ამ მასალებში უმთავრესად აღწერილია მკვლელობის, ყაჩაღობის, ქურდობის, მექრთამეობის და სხვა მძიმე ბოროტმოქმედებათა შემთხვევები. მაგრამ, ჩემი აზრით, პრესა მათ გვერდით უფრო მეტად უნდა აშუქებდეს აგრეთვე იმ ნაკლოვანებებსაც, რომლებიც საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების საქმიანობაში შეიმჩნევა. თუმცა არ ვიქნებით მთლად მართალი, თუ ვიტყვით, რომ ჩვენს პერიოდულ პრესაში ამ ხასიათის მასალებიც არ იბეჭდებოდეს. ცხადია, რომ ასეთი წერილებიც იბეჭდება და ამაში ადვილად დარწმუნდება ყველა, ვინც პრესას ყოველდღიურად ყურადღებით თვალს ადევნებს.

საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების მუშაობის ნაკლი, მართლმსაჯულების ბუნების თავისებურების გამო, ორგვარი შეიძლება იყოს. როგორც ცნობილია, მართლმსაჯულების დანიშნულება სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს მდგომარეობს იმაში, რომ დამნაშავე შესაბამისად დაისაჯოს, ხოლო უდანაშაულო გამართდეს. ამიტომ მართლმსაჯულების ორგანოს ერთი ნაკლთაგანი იმით შეიძლება გამოვლინდეს, რომ მან დამნაშავე არ დასაჯოს ან, უკიდურეს შემთხვევაში, იგი აშკარად ლომობიერად დასაჯოს.

მეორე მხრივ კი შეიძლება შეგვხვდეს ეგრეთ წოდებული უკანონო მსჯავრდების შემთხვევაც, როცა ნებისთი თუ უნებლიედ მრუდდება ხოლმე მართლმსაჯულება და ისჯება უდანაშაულო ადამიანი ან დამნაშავეს აშკარად იმაზე მეტს უსჯიან, რაც მას კანონით ეკუთვნის.

თუ ქართულ პერიოდულ პრესას ამ თვალსაზრისით გადავხედავთ, დავინახავთ, რომ პრესა მართლმსაჯულების ორგანოებს ძირითადად დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისაკენ მოუწოდებს. ამ მიზნით ზოგჯერ გამოითქმის ხოლმე საყვედური, რომ ესა თუ ის საქმე კარგად ვერ გამოიძიეს ანდა სასამართლომ დამნაშავეს მიმართ გამოიჩინა ლომობიერება და არ დასაჯა იგი უფრო მკაცრად.

ხშირად კი პრესის მუშაკები გამოხატავენ კმაყოფილებას, რომ დამნაშავე საკადრისად დაისაჯა და სხვ. ყოველივე ეს, რასაკვირველია, სწორია და მისაღები. პრესა ამით აფრთხილებს იმას, ვისაც მრუდე გზით სიარული განუზრახავს, რომ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მას სასჯელი არ ასცდება, ხოლო შესაბამისი სამსახურის მუშაკებს აფხიზლებს და ხელს უწყობს მათი მუშაობის გაუმჯობესებას.

მაგრამ პრესის მუშაკები არც უკანონო მსჯავრდების შემთხვევებს უნდა სტოვებდნენ უყურადღებოდ. ისინი მართლმსაჯულების ორგანოთა საქმიანობაში შემჩნეული ამ სახის ნაკლსაც გულდასმით უნდა ადევნებდნენ თვალყურს და პერიოდულად აშუქებდნენ პრესის ფურცლებზე. ამ მხრივ მართლაც

რომ სანიმუშოდ უნდა ჩაითვალოს გაზეთ „Известия“-ს შარშანდელ ნომერში (27.11.83 წ.) გამოქვეყნებული ვრცელი წერილი „Тень одной ошибки“, რომელიც ბელორუსიაში მომხდარი ერთი გახმაურებული სასამართლო შეცდომის ამბავს აშუქებდა.

წელიწადნახევრის გამოძიების შემდეგ ბელორუსიის უმაღლესმა სასამართლომ ორი ადამიანის განზრახი მკვლელობისათვის სხვადასხვა ვადით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა ხუთ კაცს. ხალხი ამ განაჩენს უქმაყოფილოდ შეხვდა და მოითხოვა, რამდენიმე მათგანისათვის მაინც მიესაჯათ სასჯელის უმაღლესი ზომა. ის-ის იყო პროტესტის დაწერას აპირებდნენ განაჩენის აშკარა ლმობიერების გამო, რომ იმ მხარეში ახალი ტრაგედია დატრიალდა. ბოროტმოქმედებმა სამსახურებრივი მოვალებების შესრულების დროს მოკლეს ორი საგზაო ზედამხედველობის ინსპექტორი. გამოძიებამ დამნაშავეთა კვალს მიაგნო. დააპატიმრეს ხუთკაციანი ბანდა, რომელსაც ბევრი სხვა დანაშაულიც აღმოაჩნდა ჩადენილი. საუბედუროდ ისიც გამოირკვა, რომ წინა მკვლელობაც, რომლის გამოც ის-ის იყო პროტესტის დაწერას აპირებდნენ, რათა რამდენიმე კაცი მაინც სიკვდილით დაესაჯათ, ამ ბანდის ჩადენილი ყოფილა. მსჯავრდებულნი გამართლდნენ. როგორც წერილიდან ჩანს, მათ მიმართ გამოტანილი განაჩენი საეჭვო მასალებზე იყო დაფუძნებული.

რა დასკვნის გაკეთება შეიძლება აქედან? სასამართლოს რომ შეცდომა არ მოსვლოდა, ადვილი შესაძლებელია, ინსპექტორები დღესაც ცოცხლები ყოფილიყვნენ. რატომ? იმიტომ, რომ უტყუარი საბუთების უქონლობის გამო სასამართლო საქმეს კვლავ დამატებითი გამოძიებისათვის დააბრუნებდა (ერთხელ უკვე იყო დაბრუნებული), გამოძიება ისევ გაგრძელდებოდა და ნამდვილ მკვლელებს ალბათ მანამ მიაგნებდნენ, სანამ ისინი ამ ახალი დანაშაულის ჩადენას მოასწრებდნენ. გამამტყუნებელმა განაჩენმა კი ყველა დაამშვიდა, ყველას თვითკმაყოფილების გრძნობა მოჰგვარა, მაშინ, როცა ნამდვილ დამნაშავეებს თავისუფლად პარპაშის შესაძლებლობა მიეცათ. ხალხსაც და მართლმსაჯულების ორგანოსაც მთელი ყურადღება იქით ჰქონდათ გადატანილი, დაესაჯათ თუ არა სიკვდილით მსჯავრდებულები, რომელთა ბრალდება ძლიერ ეჭვებზე იყო დამყარებული, ნაცვლად იმისა, რომ ნამდვილი დამნაშავეები მონახათ და თუნდაც თავისუფლების აღკვეთით დაესაჯათ.

მაშასადამე, უკანონო მსჯავრდება ზოგჯერ ორმხრივი ბოროტებაა. ერთი უმთავრესი ბოროტება უკანონო მსჯავრდებისა ის არის, რომ ირღვევა კანონიერება და ისჯება უდანაშაულო ადამიანი. მეორეც ის, რომ ნამდვილი დამნაშავე დაუსჯელი რჩება, როგორც ეს ახლა დავინახეთ, და აგრძელებს დანაშაულებრივ საქმიანობას. ასე, რომ ამ შემთხვევების პერიოდულად გაშუქება პრესის ფურცლებზე უთუოდ სასარგებლოა. ისიც ხელს შეუწყობს შესაბამისი ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებას და კანონიერების განმტკიცებას. მეორე მხრივ, მსგავსი პუბლიკაციები დიდად საჭიროა ხალხის სამართლებრივი აღზრდისათვის. ამიტომ უთუოდ დასანანია, რომ ქართულმა პერიოდულმა პრესამ არ გადმოხეჭა „Известия“-დან დასახელებული წერილი.

სამაგიეროდ საქართველოს სასამართლო პრაქტიკიდანაც შეგვეძლო აგველო უკანონო მსჯავრდების ზოგიერთი შემთხვევა და თუნდაც სასამართლო ქრონიკის ფორმით გამოგვექვეყნებია. მაგალითად, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1980 წ. 1 თებერვლის დადგენილებით გააუქმა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-

მეთა სასამართლო კოლეგიის 1972 წ. 19 სექტემბრის განაჩენი გ. მელიაევს და გ. გელაშვილის მიმართ, რომელთაგან პირველს 10, მეორეს კი 15 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი განზრახი მკვლელობისა და ყაჩაღობისათვის. როგორც ვხედავთ, გამამტყუნებელი განაჩენი დაუსაბუთებლად ყოფილა ძალაში შვიდი წლისა და ოთხთვენახევრის განმავლობაში და მთელი ამ დროის მანძილზე მსჯავრდებულები სასჯელს იხდიდნენ შრომა-გამასწორებელ კოლონიაში.

თითქმის ოთხი წელი მიმდინარეობდა ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომლის ა. ცამციშვილის სისხლის სამართლის საქმე, რომელიც აღიძრა ქ. თბილისის ლენინის რაიონის პროკურატურაში 1979 წ. ოქტომბერში ხულიგნობისა და განზრახი მკვლელობის მცდელობის ბრალდებით. 1980 წ. 10 იანვარს ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით მას მოეხსნა მკვლელობის მცდელობის ბრალდება და მსჯავრი დაედო საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 112-ე და 228-ე მუხლების მეორე ნაწილებით (სხეულის განზრახ მსუბუქი დაზიანება და ხულიგნობა). საოცარია, რომ ამ საქმემ ქ. თბილისის თითქმის ყველა სასამართლო მოიარა და მხოლოდ ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლომ 1983 წ. 15 აპრილის განაჩენით მოახერხა განსასჯელის მთლიანად გამართლება. თითქმის ნახევარი წელიწადი უდანაშაულო ადამიანმა საპატიმროში გაატარა. დაიხარჯა უამრავი დრო და ენერგია, რაც უფრო სასარგებლო საქმეს უნდა მოხმარებოდა. მაინც ისეთი რა სირთულე ახლდა ამ საქმეს, რომ ჭეშმარიტების დადგენას თითქმის ოთხი წელი დაჭირდა?! აი, კითხვა, რამაც არ შეიძლება არ დააფიქროს პრესის მუშაეებიც ყველა ამგვარი საქმის გაცნობისას.



მარიკა ცინცაძე

მოსახლეობისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქციის
შესყიდვის სამართლებრივი რეგულირების
ინოვაციულობა და აუცილებლობა

უკანასკნელ წლებში საქმაოდ დიდი ყურადღება ექცევა მოქალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობების განვითარებას. სტკპ XXVI ყრილობაზე აღინიშნა, რომ სოციალისტური სოფლის მეურნეობის საფუძველი იყო და კვლავ იქნება კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, მაგრამ როგორც გამოცდილება მოწმობს, ხორცის, რძისა და ზოგიერთი სხვა პროდუქციის წარმოების გადიდების არსებითი დასაყრდენია პირადი დამხმარე მეურნეობებიც. აქ ამზადებენ ჩვენი ქვეყნის საერთო წარმოების რძის, ხორცის, კვერცხისა და ბოსტნეულის დაახლოებით მესამედს.

პირად დამხმარე მეურნეობებში მოწეული სოფლის მეურნეობის პროდუქცია არის მოქალაქის პირადი საკუთრება. ხოლო პირადი საკუთრების უფლებიდან გამომდინარე მოქალაქეს შეუძლია თავის შეხედულებებისამებრ განკარგოს პირადი დამხმარე მეურნეობიდან მოწეული სოფლის მეურნეობის პროდუქცია. მაგრამ მოქალაქეთა ასეთი უფლება ხშირად შეზღუდულია იმის გამო, რომ აკრძალულია ისეთი სოფლის მეურნეობის პროდუქციის რაიონის ფარგლებს გარეთ გატანა, რომელთა დამზადების გეგმაც ამ რაიონს აქვს. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მოსახლეობას ავალდებულებენ ჩააბარონ რაიონის გეგმის შესრულების მიზნით პირადი დამხმარე მეურნეობიდან მოწეული პროდუქცია.

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მოქალაქეებისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქცია უნდა შეისყიდონ სათანადო წესით გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

1981 წლის 12 მარტს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის დამზადების სამინისტრომ, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ და სსრ კავშირის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ დაამტკიცეს ტიპობრივი ხელშეკრულება კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სასოფლო სამეურნეო საწარმოების მიერ მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვაზე.

ტიპობრივი ხელშეკრულება არსებობს იმისათვის, რომ წესრიგი დამყარდეს მოსახლეობისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვისა და დამზადების სფეროში. სხვანაირად რომ ვთქვათ, ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულება შემოიღეს ერთი მიზნით: მოსახლეობისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის დროს ზუსტად იქნეს განსაზღვრული ის უფლებები და მოვალეობები, რომლებიც ეკისრებათ მოქალაქეებსა და კოლმეურნეობებს (საბჭოთა მეურნეობებს, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს) აღნიშნული



სახეობის პროდუქციის ჩაბარების, წარმოების, ტრანსპორტირებისა და ანაზღაურების სფეროში. ამავ დროს უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების რეალური განხორციელება.

მოსახლეობისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის ხელშეკრულებით მოქალაქე კისრულობს ვალდებულებას პირად დამხმარე მეურნეობაში აწარმოოს და უფლებამოსილ სახელმწიფო დამამზადებელს დადგენილ ვადებში საკუთრებაში გადასცეს განსაზღვრული რაოდენობისა და ხარისხის სოფლის მეურნეობის პროდუქცია, ხოლო დამამზადებელი კისრულობს დადგენილ ვადაში მიიღოს და აანაზღაუროს პროდუქცია, გაუწიოს მოქალაქეს აუცილებელი დახმარება პროდუქციის წარმოებისა და ჩაბარების ორგანიზაციაში, გასცეს აგანსი მოქალაქის სურვილისამებრ.

მოსახლეობისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის ხელშეკრულება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, მათი სრული ნებაყოფლობითობის საფუძველზე უნდა იქნეს დადებული. მაგრამ ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში მოსახლეობისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის ხელშეკრულებების დადებისას ნებაყოფლობითობის პრინციპი ხშირად ირღვევა.

ჩვენი რესპუბლიკის უმეტეს რაიონებში მოსახლეობისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვა ხდება მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და დამზადების ხელშეკრულებით. ეს ხელშეკრულება გამოიყენება ყველა სახეობის პროდუქციის: ხორცის, რძის, მატყლის, ბოსტნეულის, ბაღჩეულის, ხილისა და ყურძნის შესყიდვის დროს. ტიპობრივი ხელშეკრულება ცალკეული სახეობის პროდუქციის შესყიდვისათვის არ არსებობს, რაც ზოგჯერ სერიოზულ გაუგებრობას იწვევს. მაგალითად, იდება ისეთი ხელშეკრულებები სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვაზე, სადაც ფიგურირებს „სამი მხარე“, მაშინ როდესაც ყოველგვარი გარიგება შეიძლება იყოს ცალმხრივი ან ორმხრივი. თუმცა გამონაკლისს წარმოადგენს საერთო საქმიანობის განსახორციელებლად დადებული ხელშეკრულება, რომელიც მრავალმხრივი ხელშეკრულებაა, მაგრამ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 447-ე მუხლის თანახმად კი „არ შეიძლება დაიდოს საერთო საქმიანობის ხელშეკრულება მოქალაქეებსა და სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის“. აღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა — ასეთი „სამხრივი“ ხელშეკრულების დადების პრაქტიკა არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

ზოგჯერ ასეთ ხელშეკრულებაში არის შემდეგი შინაარსის პუნქტი: თუ მოქალაქე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებამდე სოფლის მეურნეობის პროდუქციას საკომმეურნეო ბაზარზე გაყიდის და თავს აარიდებს მის შესრულებას, კომლს შეუმცირდება (ჩამოერთმევა) საკარმიდამო ფართობი პირველი მხარის მიერ დადგენილი ოდენობით.

ასეთი პრაქტიკა კი აშკარად ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, ვინაიდან კანონმდებლობა კონკრეტული ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის მიწის ნაკვეთის ჩამორთმევას (შემცირებას) არ ითვალისწინებს, რადგან საკარმიდამო მიწის მიცემისა და რაიმე კონკრეტული ხელშეკრულების დადების საფუძველები სრულიად სხვადასხვა სიბრტყეზე მდებარე მოვლენებია.

პრაქტიკაში გვხვდება აგრეთვე სხვა სახის დარღვევებიც, რომელთა დაუყოვნებლივ გამოსწორებას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის საქმეში სრული წესრიგის დამყარებისათვის.

აუცილებელია შემუშავდეს, ჩვენ რესპუბლიკის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესყიდვის ტიპობრივი ხელშეკრულებები იმ პროდუქციაზე, რომლებზეც ასეთი არ ვაგვაჩნია. მაგალითად ისეთ მნიშვნელოვან პროდუქტებზე როგორცაა ყურძენი, ციტრუსი, ჩაი ასეთი ხელშეკრულებები ჯერ კიდევ არ შემუშავებულა, ხოლო აღნიშნული სახის პროდუქციის შესყიდვასთან დაკავშირებული ურთიერთობების სამართლებრივ მოწესრიგებას კი საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს.

ამავე დროს ადგილებზე მოსახლეობისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის ხელშეკრულებები ტიპობრივი ხელშეკრულების შესაბამისად უნდა დაიდოს და ყოვლად დაუშვებელია ასეთი ტიპობრივი ხელშეკრულებებიდან არსებითი გადახვევა, თუ არ იქნება სპეციალური ნებართვა იმ ორგანოსი, რომელმაც ეს ტიპობრივი ხელშეკრულება დაამტკიცა. ამავე დროს, მიზანშეწონილია ასეთი ტიპობრივი ხელშეკრულებები შემუშავდეს არა მარტო დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების, არამედ სამეცნიერო დაწესებულებათა მონაწილეობითაც.

მეფა ვახაჟა

რაციონული აბროსამრეწველო გაერთიანების სტატუსის
ზოგიერთი საკითხი

საბჭოთა სახელმწიფო გარკვეული მიზნების მისაღწევად ქმნის ორგანოებს, რომელთაც განსაზღვრული ამოცანების განხორციელება ეკისრება. ასევე გარკვეული მიზნით, რაიონის სოფლის მეურნეობისა და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა დარგების მართვის გასაუმჯობესებლად შეიქმნა რაციონული აგროსამრეწველო გაერთიანებები. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმმა სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში გადამწყვეტი როლი რაციონულ გაერთიანებებს დააკისრა და მიიღო დადგენილება „სოფლის მეურნეობისა და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა დარგების მართვის გაუმჯობესების შესახებ“. გაერთიანებათა ამოცანაა მათში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა პრობორციული და შეწონასწორებული განვითარების უზრუნველყოფა; სამეურნეო და სადარგთაშორისო კავშირურთიერთობის სრულყოფა; კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა და სხვა საწარმოთა მომსახურების გაუმჯობესება, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება და ა. შ.

აქ იზადება მეტად მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის განხილვა რაციონული აგროსამრეწველო გაერთიანების ნორმალური საქმიანობისათვის აუცილებელია. ეს არის მის უფლებამოსილებათა კომპეტენციის განსაზღვრა. პრაქტიკის ამ უფლებამოსილებებში შეაქვს კორექტივები. ზოგჯერ ხდება ისე, რომ ამ ორგანოს ზოგიერთი უფლებამოსილება ზედმეტია, ზოგჯერ კი საჭიროა გარკვეულ უფლებამოსილებათა დამატება. პრაქტიკის განზოგადების შედეგად ცვლილებები და დამატებები შეაქვთ ნორმატიულ აქტში, რომელიც განსაზღვრავს რაციონული აგროსამრეწველო გაერთიანების სტატუსს.

რაციონული აგროსამრეწველო გაერთიანების სტატუსი განსაზღვრულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 25 ნოემბრის № 1015 დადგენილებით დამტკიცებული რაციონული აგროსამრეწველო გაერთიანების ტიპობრივი დებულებით. ეს დებულება მოქმედებს მთლიანად სსრ კავშირში, გარდა საქართველოს რესპუბლიკისა, სადაც როგორც გამოჩაკლისი, გარკვეული მოსაზრებებით მოქმედებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 31 მაისის № 362 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სს რესპუბლიკაში რაციონული აგროსამრეწველო გაერთიანების ტიპობრივი დებულება.

ისევე როგორც ყოველი სხვა ორგანო, რაციონული აგროსამრეწველო გაერთიანებაც იქმნება გარკვეული წესით. ამასთანავე მისი შექმნა ხასიათდება თავისებურებით, რაც ამ ორგანოს შემადგენლობით და საქმიანობის მრავალმხრივი ხასიათითაა განპირობებული. გაერთიანებაში შემავალი საწარმოები და ორგანიზაციები ინარჩუნებენ სამეურნეო დამოუკიდებლობას, იურიდიული პირის უფლებას და უწყებრივ დაქვემდებარებას. ამავე დროს თვით რაციონული



გაერთიანებაც აღქურვილია იურიდიული პირის უფლებით. მაგრამ გაერთიანების სტატუსის განსაზღვრისათვის მხოლოდ იურიდიული პირის ინსტიტუტი არ კმარა. აუცილებელია გაერთიანების კომპეტენციის განსაზღვრა სამეურნეო საქმიანობის განხორციელების და მართვის სფეროში.

კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა საწარმოები და ორგანიზაციები გაერთიანებაში შესვლისას გადასცემენ მას, როგორც ზემდგომ სამეურნეო ორგანოს, თავიანთ უფლებამოსილებათა ნაწილს, ე. ი. გაერთიანებასა და მასში შემაჯალ საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის ხდება უფლებათა და მოვალეობათა გადანაწილება. ვინაიდან გაერთიანება ცენტრალიზებულად ახორციელებს ცალკეულ საწარმო-სამეურნეო ფუნქციებს, მასში შემაჯალ საწარმოებსა და ორგანიზაციებს გარკვეულწილად ეზღუდებათ უფლებამოსილებები. მაგრამ ამ საწარმოთა და ორგანიზაციათა უფლებამოსილებების ასეთი შეზღუდვა არ იწვევს მათთვის იურიდიული პირის უფლების დაკარგვას და მათი სამეურნეო დამოუკიდებლობის არაკანონიერ შეზღუდვას, რადგან ფუნქციების ცენტრალიზაცია ხორციელდება ისეთ საკითხებზე, რომელიც ამ საწარმოთა და ორგანიზაციათა ძირითად საქმიანობას არ წარმოადგენს.

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების საკავშირო ტიპობრივი დებულებისაგან განსხვავებით საქართველოში მოქმედი ტიპობრივი დებულება ითვალისწინებს მართვის ორი ორგანოს, გაერთიანების საბჭოს და გაერთიანების გამგეობის არჩევას. ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად მიზანშეწონილია ორთავეს ერთდროულად არსებობა, მაგრამ ერთი რამ ცხადია, ასეთ პირობებში გარდუვალაია მათ შორის ფუნქციების აბსოლუტურად ზუსტი და ამომწურავი გამიჯვნა, რაც არ არის დებულებით განსაზღვრული. გაერთიანების საბჭოს და გაერთიანების გამგეობის ფუნქციები დებულების ცალ-ცალკე პუნქტებშია მოცემული, მაგრამ ეს პუნქტები არ შეიცავენ უფლებამოსილებათა ამომწურავ ჩამოთვლას. გარდა ამისა, დებულების მე-3 განყოფილებაში მოცემულია გაერთიანების უფლებები და მოვალეობები, რომლებსაც ახორციელებს გაერთიანების საბჭო და გამგეობა, მაგრამ არავითარი მითითება არ არის იმის შესახებ, თუ რომელს ახორციელებს საბჭო და რომელს გამგეობა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო, სასურველია სრულყოფილად ჩამოყალიბდეს დებულების მე-11 პუნქტი, სადაც გაერთიანების გამგეობის ფუნქციებია ჩამოთვლილი. მიზანშეწონილია დებულებიდან ამოღებული იქნეს მე-9 პუნქტი გაერთიანების საბჭოს უფლებამოსილებათა შესახებ, ხოლო მე-3 განყოფილებაში ჩამოთვლილ უფლებებსა და მოვალეობებს ახორციელებდეს მხოლოდ გაერთიანების საბჭო. სასურველია აგრეთვე დებულებით განისაზღვროს იმ თანამდებობის პირთა წრე, რომლებიც შედიან გაერთიანების გამგეობაში.

ტიპობრივი დებულების თანახმად, გაერთიანებაში შემაჯალი ორმაგი დაქვემდებარების საწარმოთა ზემდგომმა ორგანოებმა თავიანთი სისტემის საწარმოთა განვითარების საკითხები უნდა გადაწყვიტონ მხოლოდ გაერთიანებასთან შეთანხმებით. ასეთი ურთიერთდამოკიდებულება პრაქტიკაში ხშირად წარმოშობს გაუგებრობას, რის გამოც მიზანშეწონილად მიგვაჩნია ტიპობრივი დებულებით განისაზღვროს, თუ რა კონკრეტული უფლებები და მოვალეობები აქვს გაერთიანებას მასში შემაჯალი ორმაგი დაქვემდებარების საწარმოებისადმი.

ყოველი რაიონის სასურსათო პროგრამის წარმატებით რეალიზაციისათვის სასურველია რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების შემადგენლობის იმგვარად დახვეწა, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის შექმნაში მონაწილეობდეს გაერთიანებაში შემავალი ყველა საწარმო და ორგანიზაცია.

გაერთიანების მიერ მართვის და საწარმო-სამეურნეო ფუნქციების ცენტრალიზებულად შესრულება და ეკონომიკური სტიმულირების ფონდების შექმნა ცვლილებებს იწვევს მასში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა სტატუსში. ამის გამო აუცილებელია შესაბამისად ცვლილებათა და დამატებათა შეტანა იმ ნორმატიულ აქტებში, რომლებიც განსაზღვრავენ ამ საწარმოთა და ორგანიზაციათა სტატუსს.

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების სტატუსი მომავალში კიდევ უფრო დაიხვეწება. გაერთიანებათა საქმიანობის პრაქტიკა უდაოდ წამოაყენებს ახალ პრობლემებს, რომელთა გაანალიზება და სწორად გადაწყვეტა ხელს შეუწყობს როგორც თვით გაერთიანების სტატუსის სრულყოფას, ისე გაერთიანებისა და მასში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების ურთიერთკავშირის სამართლებრივი ფორმების გაუმჯობესებას.



იღუარდ კაშულარია

სისხლის სამართლის საპროცესო კანონის
ანალოგიით გამოყენების პირობები

1. სისხლის სამართლის პროცესში, ისევე როგორც სამართლის ნებისმიერ დარგში, სამართლის ხარვეზების აღმოფხვრის ძირითადი ხერხია საკანონმდებლო გზით უკმარისი ან არასრული ნორმის ახალი რედაქციით გამოცემა. ანალოგია კი, კანონიერების მკაცრი რეჟიმის პირობებში, გვევლინება ხარვეზების გადალახვის (ნეიტრალიზაციის) არც ისე იდეალურ, მაგრამ სოციალურად აუცილებელ საშუალებად. ანალოგიის ინსტიტუტის გამოყენება სამართალში უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი ფაქტორების გათვალისწინებას და კანონის დინამიკას მისი გამოყენების პროცესში.

2. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ანალოგიით გამოყენების პირობებს წარმოადგენს იმ გარემოებათა ერთობლიობა, რომელთა შესაბამისადაც მიმდინარეობს სისხლის სამართლის საპროცესო კანონის სწორი, მართებული გამოყენება მსგავსების ნიშნის მიხედვით. ამ პირობების ღრმა გაანალიზებას და ჩამოყალიბებას შეუძლია მინიმუმამდე შეამციროს სამართალგამომყენებელი ორგანოების თვითნებური, გადაწყვეტილებები და მოქმედებები იმ სიტუაციებში, რომელნიც ამა თუ იმ მიზეზით არ არიან გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით.

3. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ანალოგიით გამოყენებაზე შეგვიძლია ვილაპარაკოთ მხოლოდ მაშინ, როდესაც უდავოდ დადგენილია სამართლის ხარვეზის არსებობის ფაქტი, ე. ი. მაშინ, როდესაც კონკრეტული სიტუაციის ფაქტიური გარემოებები ამა თუ იმ მიზეზის გამო კანონით არ არიან გათვალისწინებულნი, მაგრამ უცილობლად გამომდინარეობენ ამავე კანონის ძირითადი დებულებებიდან. უდავოა, რომ კონკრეტული სიტუაციის კანონით გაუთვალისწინებლობა ყველა შემთხვევაში არ შეიძლება წარმოადგენდეს სამართლის ხარვეზს, ამიტომაც საკითხის გარკვევისას, გვაქვს თუ არა საქმე სამართლის ხარვეზთან, ადვილად შეიძლება დაშვებულ იქნეს შეცდომა და ხარვეზად ჩაითვალოს ის, რაც კანონმდებელმა შეგნებულად დატოვა სამართლებრივი რეგულირების გარეშე. ამრიგად, სამართლის ხარვეზის ყოველი კონსტატაცია უნდა ემყარებოდეს კანონმდებლობის ყოველმხრივ და ღრმა ანალიზს, იმ ნორმების გულდასმით შესწავლას, რომელნიც გადასაწყვეტ საკითხს ასე თუ ისე შეეხებიან.

4. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ანალოგიით გამოყენება დაიშვება მხოლოდ იქ, სადაც განსახილველი სიტუაციის და კონკრეტული ნორმით გათვალისწინებული სიტუაციის ნიშნები ამჟღავნებენ არსებით მსგავსებას. ამისათვის, პირველ რიგში უნდა მოიძებნოს ძირითადი ნიშნებით ყველაზე მახლობელი, ყველაზე მსგავსი ნორმა სისხლის სამართლის საპროცესო სამართლის ნორმათა სისტემაში. ამასთან, ძირითადი ნიშნების მსგავსება შესაძარბებელ და

კანონით გათვალისწინებულ სიტუაციებს შორის უნდა ატარებდეს არსებით ხასიათს, ფაქტიურ გარემოებათა ნიშნების დამთხვევა უნდა იყოს რეალური, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი უნდა მიეკუთვნებოდნენ ერთი და იგივე კლასის მოვლენებს და თავისებურებები, რომლებიც აპირობებენ კანონში მოცემული მოვლენის რეგულირებას უნდა გააჩნდეთ კანონით გათვალისწინებულ მოვლენებსაც.

5. სისხლის სამართალწარმოების მიზნების მიღწევა მოქალაქეთა უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების განუხრელი დაცვით, სისხლის სამართლის საპროცესო კანონის გამოყენების ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა. ამდენად კანონის ანალოგიით გამოყენება სისხლის სამართლის პროცესში არაერთარ შემთხვევაში არ უნდა ქმნიდეს მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეზღუდვის რაიმე საშიშროებას. ამ მოთხოვნის განხორციელების რეალურ გარანტიად უნდა ჩაითვალოს კანონის ანალოგიით გამოყენების პირობების და ფარგლების შემდგომი ყოველმხრივი დამუშავება და მეცნიერული დასაბუთება იმ მიზნით, რომ ეს ინსტიტუტი ემსახურებოდეს კანონიერების რეჟიმის განმტკიცებას სისხლის სამართალწარმოებაში.

Г. Ш. ЛЕЖАВА

СОЦИАЛЬНЫЙ ИНТЕРЕС К ПРОБЛЕМЕ ПРЕСТУПНОСТИ

Преступность как одно из наиболее опасных социальных явлений привлекает внимание широких слоев советской общественности. Интерес к социально-правовым явлениям, будучи предпосылкой формирования общественного мнения о них, одновременно выступает в качестве характеристики правосознания общества, социальной группы или индивида. Поэтому степень интереса к проблемам преступности может рассматриваться как один из показателей состояния правосознания, а также общественного мнения о правовых и криминальных явлениях. При этом критерием актуальности проблемы преступности для населения служат: 1. осознание этой проблемы в соответствии с государственно-партийной оценкой; 2. проявление социальной активности, направленной на ее разрешение.

Правосознание и общественное мнение не только отражают социально-правовые отношения, но и активно влияют на их развитие. В этом выражается регулятивная, контрольная, директивная и др. функции общественного мнения. В контексте рассматриваемой проблемы это означает, что феномен социальной актуальности преступности является не только следствием объективной картины социально-правовой действительности, но он способен воздействовать на ее изменение. Так, обеспокоенность общественности по поводу какого-либо вопроса, имеющего отношение к преступности, ставит правоохранительные органы перед необходимостью активизировать свою деятельность на участке, вызвавшем повышенный интерес у населения, с тем, чтобы быстрее удовлетворить общественное мнение.

Кстати, в этом отношении правоохранительные органы могут допустить перегибы, но это одновременно говорит о том, какой силой и авторитетом обладает общественное мнение.

Приведем один пример. В последнее время большое внимание уделено проблеме жестокого обращения с животными. Общественное мнение, возникшее по поводу этого вопроса, существенно повлияло на практику привлечения к ответственности и вынесения приговоров по соответствующим делам. Под давлением общественного мнения суды, которые раньше прекращали дела о жестоком обращении с животными «за отсутствием состава преступления» (что было совершенно правильно, т. к. в Уголовных кодексах такой состав отсутствует), стали квалифицировать соответствующие действия по статьям 144, 149 и 206 УК РСФСР (кража личного имущества; умышленное уничтожение или повреждение имущества граждан; хулиганство). Таким образом, под влиянием общественного мнения суды пошли по пути применения аналогии, что с точки зрения советского уголовного права является недопустимым.

С другой стороны, снижение общественного интереса к проблеме преступности, которое выразилось в ослаблении социальной активности

граждан, направленной на охрану и укрепление правопорядка, может в определенной мере осложнить реализацию государственных программ по борьбе с преступностью.

Таким образом, следует стремиться к формированию оптимального общественного мнения по проблемам преступности, не допуская ни чрезмерной актуализации социального интереса к правонарушениям, ни нежелательного спада заинтересованности в предупреждении и пресечении преступных действий.

При освещении вопроса об актуальности проблемы преступности в обществе следует учитывать одно важное обстоятельство. А именно то, что социальный интерес к преступности может быть обусловлен как уровнем правосознания и правовой культуры, так и субъективной обеспокоенностью граждан частотой преступных проявлений, угрожающих непосредственно их интересам¹.

При этом следует учитывать, что сама по себе субъективная обеспокоенность преступностью является достаточно сложным и нередко противоречивым явлением. Поэтому при исследовании этого феномена представляется целесообразным различать собственно субъективную обеспокоенность граждан по поводу совершаемых преступлений и объективные условия этой обеспокоенности. Это позволяет точнее установить характер субъективной обеспокоенности по поводу преступности и выявить обуславливающие ее факторы.

При этом показателями субъективной обеспокоенности граждан преступностью могут выступать: страх оказаться жертвой преступления; оценка значимости проблемы преступности; мнение о размерах, динамике и других параметрах преступности как в регионе непосредственного проживания, так и в масштабе общества в целом. Для суждения об объективных условиях обеспокоенности граждан преступными проявлениями можно использовать данные о частоте ситуаций, в которых граждане оказались жертвами или свидетелями преступления, а также показатели официально зарегистрированной и латентной преступности.

Казалось бы, обеспокоенность населения преступными проявлениями — столь специфический, субъективный и неуловимый феномен, что он не поддается точному наблюдению и исследованию. В действительности это не так, и это понятие можно подвергнуть операционализации и достаточно точному исследованию. Дело в том, что субъективная обеспокоенность преступностью (проще говоря, страх людей перед преступлением), как любая другая эмоция, в конечном счете проявляется в конкретных наблюдаемых действиях. Так, индикаторами страха перед преступлением являются: оценка личностью риска стать жертвой преступления и реакция индивида на страх перед преступлением. Эта реакция может выражаться в следующих формах:

- стремление избегать опасные ситуации и территориальные зоны;
- повышение собственной сопротивляемости возможному преступлению, включающее как защиту дома, устройство сигнализации, так и личную самозащиту, например, ношение оружия;
- страхование имущества (дома, автомобиля и т. д.);
- включение в социальную активность, направленную на борьбу с преступностью.

¹ См. Общественное мнение о преступности и мерах борьбы с ней. М. 1977, с. 38.



Эмпирическое исследование социального интереса к проблемам преступности проводилось с использованием таких специальных индикаторов, как интерес к юридической проблематике среди тем, освещаемых средствами массовой информации; оценка опрошенными значимости феномена преступности для населения; оценка материалов о преступности в средствах массовой коммуникации².

Как выяснилось, среди перечисленных в анкете сфер интересов (наука и техника, здравоохранение, мораль и воспитание, международная жизнь и т. д.) юридическая тематика занимает в среднем 5-ое место. В зависимости от возрастной и социально-профессиональной принадлежности указанное ранговое место могло отклоняться в сторону понижения (более слабый интерес к юридической тематике зафиксирован у работников сельского хозяйства, работников просвещения и науки, учащейся молодежи).

Выявленная тенденция пониженного интереса к юридическим вопросам в некоторых социально-профессиональных группах указывает на необходимость дифференцированного подхода к проведению правового воспитания и правовой пропаганде в обществе.

В частности, особое внимание необходимо уделить повышению интереса к правовой проблематике у представителей интеллигенции, т. к. в данном случае речь идет о людях, которые обладают высоким уровнем образования и культуры. Эти параметры традиционно выдвигают представителей интеллигенции в состав референтных групп, на которые не только ориентируются представители других социальных слоев, но и которые зачастую обладают повышенной способностью воздействия на формирование и развитие социально-психологической атмосферы, в том числе и общественного мнения.

Полученные в этой части исследования данные показали, что население в обследованных регионах проявляет повышенное внимание к проблемам преступности. Для определения характера подобного отношения необходимо сопоставить полученные данные с показателями «объективного влияния» преступных проявлений на обследованных граждан (сколько часто опрошенные были свидетелями или жертвами преступных посягательств, каков уровень латентной преступности в регионе, каковы здесь коэффициенты официально зарегистрированной преступности). Кроме того, исходя из двойственного характера отношения населения к вопросу значимости преступности, эти данные могут свидетельствовать о развитом правовом сознании опрошенных. Дело в том, что повышенное внимание к проблемам преступности может быть обусловлено чувством ответственности за положение дел в обществе, нетерпимостью к преступным проявлениям. Другие использованные в исследовании индикаторы подтвердили правильность сделанного вывода.

² Степень социального интереса к проблемам преступности изучалась в рамках исследования общественного мнения о преступности и мерах борьбы с ней, которое провели сектор права Института экономики и права АН ГССР и Всесоюзный институт по изучению причин и разработке мер предупреждения преступности. Методом исследования служил опрос в форме анкетирования. Исследованием было охвачено свыше 4 тыс. человек, представлявших основные социально-профессиональные группы двух крупных городов в ГССР и РСФСР.

О. Ш. КОЧЛАДЗЕ

О ПРАВОВЫХ И ОРГАНИЗАЦИОННЫХ МЕРАХ ПО ОБЕСПЕЧЕНИЮ ВЫПОЛНЕНИЯ ПРОДОВОЛЬСТВЕННОЙ ПРОГРАММЫ СССР НА ПЕРИОД ДО 1990 ГОДА

Определяя широкую программу социального развития и повышения благосостояния советского народа, XXVI съезд КПСС на первый план выдвинул задачу улучшения снабжения населения продуктами питания. Разработанная для решения этой задачи и одобренная на майском (1982 г.) Пленуме ЦК КПСС Продовольственная программа СССР является важнейшей составной частью экономической стратегии нашей партии на ближайшее десятилетие¹.

Майский (1982 г.) Пленум ЦК КПСС открыл новый этап аграрно-продовольственной политики. Пленум ЦК КПСС наметил основные задачи развития агропромышленного комплекса. Придавая важное значение нормативному регулированию вопросов продовольственных отношений, Пленум принял совместные постановления ЦК КПСС и Совета Министров СССР: «Об улучшении управления сельским хозяйством и другими отраслями агропромышленного комплекса»; «О мерах по совершенствованию экономического механизма и укреплению экономики колхозов и совхозов»; «О мерах по усилению материальной заинтересованности работников сельского хозяйства в увеличении производства продукции и повышении ее качества».

Проблема роли хозрасчетно-договорных отношений в реализации Продовольственной программы нашла отражение в юридической литературе. Но многие вопросы этой проблемы еще ждут своего решения. Актуальной остается проблема четкого определения оптимального сочетания централизованного планирования и хозяйственной самостоятельности предприятий, объединений, местных органов.

В хозрасчетных отношениях важное значение, как известно, имеет правовой договор, особенно такая его разновидность, как хозяйственный договор. В настоящее время следует поднять роль хозрасчета и хозяйственного договора и обеспечить за ними ведущий характер в системе других важных мер, направленных на выполнение Продовольственной программы².

За последние годы проведена большая работа по совершенствованию сельскохозяйственного законодательства. Вместе с тем нуждается в дальнейшем совершенствовании правовое регулирование отношений в сфере государственных закупок сельскохозяйственной продукции.

В соответствии с Продовольственной программой требует улучшения правовое регулирование системы закупок сельскохозяйственной продукции в личных подсобных хозяйствах граждан.

¹ Материалы майского Пленума ЦК КПСС. М., 1982.

² Горожанкин А. И. Роль хозрасчетно-договорных отношений в реализации Продовольственной программы СССР, „Советское государство и право“, 1983, №12.

Основную массу сельскохозяйственных продуктов государство закупает у колхозов, совхозов и иных сельскохозяйственных предприятий по договору контрактации. Этот договор заключается между социалистическими организациями на основе государственных планов закупки сельскохозяйственной продукции. А правоотношения, возникшие в рамках этого договора, регламентированы Основами гражданского законодательства Союза ССР и союзных республик и Гражданским кодексом ГССР.

Закупка сельскохозяйственной продукции с личных подсобных хозяйств граждан происходит по договору, который не урегулирован ни нормами Основ, ни соответствующими статьями Гражданского кодекса. Это объясняется, в частности, недостаточным развитием экономических и юридических исследований, в которых были бы выработаны научно обоснованные рекомендации по дальнейшему совершенствованию регулирования отношений в этой сфере.

Теоретическая разработка как экономических, так и юридических аспектов осуществления закупок с личных подсобных хозяйств граждан отличается большой сложностью, поскольку сложен сам комплекс экономических и правовых отношений в сфере закупок.

Насущными являются вопросы уголовно-правовой охраны социалистической собственности на предприятиях АПК. Анализ статистических данных показывает, что в некоторых отраслях агропромышленного комплекса совершаются преступления, в том числе почти одна треть всех зарегистрированных хищений.

В системе только восьми министерств, входящих в АПК (сельского хозяйства, мясо-молочной и пищевой промышленности, Госкомсельхозтехники, заготовок, плодоовощного, рыбного хозяйства, сельского строительства), похищается и растрачивается материальных ценностей на большие суммы. Особую тревогу вызывает состояние борьбы с преступностью на селе.

В сельской местности, где проживает 1/3 населения страны, совершается значительное число хищений государственного и общественного имущества. Общая сумма недостач, растрат и хищений колхозных и совхозных средств, только отнесенных на виновных лиц, является достаточно большим. Органами государственного контроля ежегодно выявляются многочисленные факты нарушений установленного порядка приема сельскохозяйственной продукции заготовительными организациями, промышленными и торговыми предприятиями, оценки качества продукции.

Большие убытки и потери имеют место в животноводстве. Существенны злоупотребления при закупках скота у населения.

Много хищений денежных средств и продукции совершается в период ее заготовки. Хищения и взяточничество распространены в организациях, осуществляющих закупку товарной продукции у колхозов, совхозов и населения, ее переработку, хранение и реализацию. Только на объектах заготовок пищевой, мясной и молочной промышленности за два года выявлено много хищений государственного и общественного имущества, составляющих около 17% хищений, выявленных в агропромышленном комплексе.

Серьезные корыстные злоупотребления имеют место в системе Министерства плодоовощного хозяйства. Так, за последние пять лет число замаскированных хищений государственного имущества на объектах Главмосплодоовощторга увеличилось в два раза.

Как показывают практика и статистические данные, распространены факты бесхозяйственности, приписок, хищений строительных материалов и денежных средств на объектах сельского строительства.

В организациях Министерства сельского строительства СССР хищения государственного имущества (без мелких) ежегодно совершает значительное число работающих в них лиц. В системе Министерства мелиорации и водного хозяйства СССР ущерб от недостач, растрат и хищений за три года остается существенным, как и сумма приписок и других искажений отчетности.

Одним из условий решения поставленных майским Пленумом ЦК КПСС задач является реализация в каждой республике, области, каждом районе четкой и продуманной системы мер по борьбе с корыстными злоупотреблениями. Существенную роль в этом призваны сыграть органы внутренних дел, на которые возлагается обеспечение охраны социалистической собственности в сфере агропромышленного комплекса от преступных посягательств и возмещения причиненного ими материального ущерба.

В этих целях необходимо прежде всего обеспечить эффективную организацию профилактики преступлений на объектах, входящих в агропромышленный комплекс. При этом необходимо знать и учитывать особенности этих объектов. Они заключаются, в частности, в отдаленности колхозов и совхозов от контролирующих органов, подчинении разным управленческим системам, отличающимся выпускаемой продукцией, спецификой технологического процесса, порядком заготовки сырья и т. д.

В целях организации эффективных мероприятий по предупреждению и раскрытию преступлений на объектах агропромышленного комплекса необходимо определить ключевые направления данной сферы народного хозяйства, где сосредоточены крупные материальные ценности, осваиваются значительные денежные средства, имеют место обстоятельства, способствующие хищениям.

В сельском хозяйстве наиболее сложная обстановка наступает в период массовых сельскохозяйственных работ; за 10—20 дней уборочной компании во многих районах страны совершается до 20—30 процентов от общего количества зарегистрированных в сельском хозяйстве преступлений. Положение осложняется увеличением населения за счет горожан, прибывших на уборку урожая.

Ведущим звеном агропромышленного комплекса является мясная и молочная промышленность, на долю которой приходится свыше 40% всей пищевой товарной продукции. Работники органов ВД и в первую очередь службы БХСС должны учесть это в своей работе.

Изучение обстоятельств, определение в каждом конкретном случае «уязвимых» звеньев, правильная расстановка сил на смежных участках кооперирующихся предприятий и умелое их использование — вот те основные моменты, на которые следует нам ориентироваться.

Подразделения МВД СССР поставили перед собой конкретные и, безусловно, напряженные задачи. Сейчас на первый план выдвигается организаторская работа. Речь идет о необходимости выработки тщательного плана практических действий. Такой план должен точно отвечать на вопросы — что, где и в какие сроки надо делать, кто персонально отвечает за каждый участок работы, в решении этих задач важную роль призваны сыграть руководители органов внутренних дел.

Особое внимание должно быть уделено решению поставленных задач, контролю и проверке исполнения.

Залогом успеха во всяком деле, как известно, являются люди. Поэтому воспитание кадров в духе высокой дисциплины, поощрение инициативы должно сочетаться с развитием персональной ответственности каждого сотрудника органов внутренних дел за порученное дело, реализацию Продовольственной программы.

Создание сельскохозяйственных предприятий и объединений на межхозяйственной основе влечет за собой существенные изменения не только в процессе производства, но и в сфере сбыта, а также в учете материальных ценностей и трудовых затрат. Эти обстоятельства необходимо учитывать работникам милиции, ведущим борьбу с хищениями и другими преступлениями против социалистической собственности.

ინფორმაცია, ქრონიკა

საბარტლის თეორიის, სახელმწიფო საბარტლისა და საზოგადოებრივი ადამიანთა ადგილის შესახებ

სექციის მუშაობის ძირითადი მიმართულება და შინაარსი განისაზღვრა საბარტლის მარქსისტულ-ლენინური თეორიის, სოციალდემოკრატიული სახელმწიფო საბარტლისა და საბჭოთა ადამიანთა ადგილის შესახებ პრობლემებზე გამართული საქმიანი სჯა-ბაასით.

მეცნიერ-იურისტთა პირველი რესპუბლიკური შეხვედრის მთავარი მიზანმიმართულების შესაბამისად, სექციამ მოისმინა და განიხილა მოხსენებები ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა საზოგადოებრივი ურთიერთობათა საბარტლებრივი რეგულირების სრულყოფის კონსტიტუციური საფუძვლები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მათი როლი საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში, სახელმწიფო მმართველობის ძირითადი პრინციპები, ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ორგანიზების ფორმირების საბარტლებრივი საფუძვლები, ექსპერიმენტის როლი სახალხო მეურნეობის საბარტლებრივი რეგულირების სრულყოფაში, სოციალდემოკრატიული დემოკრატიის უპირატესობანი ბურჟუაზიულთან შედარებით. ბურჟუაზიულ სამყაროსთან შეპირისპირებით აღინიშნა თვალსაჩინო მიღწევები, რომლებიც საბჭოთა საქართველომ მოიპოვა კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის პრაქტიკულად განხორციელების საქმეში.

მოხსენებებით, სიტყვებით გამოვიდნენ რესპუბლიკის მეცნიერ-იურისტთა როგორც უფროსი, ისე საშუალო და ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები.

საერთოდ, სექციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და საბარტლის ინსტიტუტის სახელმწიფო და საერთაშორისო საბარტლის განყოფილების, ამავე ინსტიტუტის მართვის საბარტლებრივი პრობლემათა შემსწავლელი ლაბორატორიის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საბარტლის ისტორიის კათედრის, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიულ-იურიდიული ფაკულტეტის საბარტლის თეორიის, ისტორიისა და სახელმწიფო საბარტლის კათედრის, მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის მუშაკებმა, აგრეთვე ქ. ქუთაისის პრაქტიკოს-იურისტებმა.

უნდა ითქვას, რომ სექციის კოლექტივი არ იყო მრავალრიცხოვანი. მეორე მხრივ, ამკარად იგრძნობოდა, რომ ყველა, ვინც-კი სხდომას დაესწრო, მართლაც დაინტერესებული იყო სექციის მუშაობით, მისი პრობლემეტიკითა და კონკრეტული განსახილველი საკითხებით.



ასე რომ, საბოლოო ანგარიშით, სექციის მუშაობა ნაყოფიერი გამოდგა. წარმატებით საქმიანობის მნიშვნელოვან სტიმულად იქცა მეცნიერი-იურისტთა შეკრების ხელმძღვანელობის გულისხმიერება და ყურადღება სექციური მუშაობისადმი, კერძოდ, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკად. ე. ხარაძის პირადი დასწრება სექციის სხდომაზე.

სექციის მუშაობისათვის დამახასიათებელი იყო აზრთა თავისუფალი ურთიერთგაზიარება. თემატიკის აქტუალობამ და სირთულემ განაპირობა გაცხოველებული კამათი და მოსაზრებათა სხვადასხვაობაც ცალკეული საკითხების განხილვასთან დაკავშირებით. ამასთანავე სექციაში, მის მონაწილეთა შორის იმთავითვე დამყარდა და მუშაობის მთელ პერიოდში გაგრძელდა მეგობრული, კეთილნაყოფიერი კოლეგიური ურთიერთობა. მუშაობა წარიმართა საქმის ცოდნით, ნამდვილ პროფესიულ დონეზე. საკითხები განიხილებოდა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის წინაშე მდგომი ამოცანების შუქზე, სამართლებრივი კვლევა-ძიებისა და იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი დაწინაურებისათვის ხელშეწყობის ნიშნით, პრაქტიკის მოთხოვნებათა დასაკმაყოფილებლად მეცნიერების მიღწევათა ეფექტიანი გამოყენების სულისკვეთებით.

ამ მიმართულებით, აგრეთვე რესპუბლიკის მეცნიერ-იურისტთა შეხვედრის ორგანიზაციასთან დაკავშირებით გამოითქვა ზოგიერთი სურვილი, მოსაზრება, რეკომენდაცია. ისინი სექციის დასტურითა და დავალებით კიდევ მოხსენდა საქართველოს მეცნიერ-იურისტთა პირველი შეხვედრის დასკვნით პლენარულ სხდომას.

სახელდობრ, სექციის სხდომის ცალკეულმა მონაწილეებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს:

— მეცნიერ-იურისტთა რესპუბლიკური შეხვედრის თემატიკის დაკონკრეტება. საქართველოს მეცნიერ-იურისტთა პირველი შეხვედრის თემა, კერძოდ კი „საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირება“ მეტისმეტად ზოგადი და ყოვლისმომცველია. სწორედ ამიტომ მოხდა, რომ ამ შეხვედრის პირველ პლენარულ სხდომაზე მოსმენილ მოხსენებებთან და გამოსვლებთან დაკავშირებით არსებითად არ გაიმართა კამათი. უფრო კარგი იქნება შეხვედრისათვის ერთი გლობალური პრობლემის შერჩევა და მისი ყოველმხრივი განხილვა. მაგალითად, საქართველოს მეცნიერ-იურისტთა მომდევნო შეხვედრა შეიძლება შეიძღვნას რესპუბლიკაში ფართოდ გაშლილი ეკონომიკურ-ორგანიზაციული ექსპერიმენტების სამართლებრივ პრობლემებს.

— შეხვედრის მონაწილეთა უფრო ფართოდ ინფორმირება სამეცნიერო თუ სასწავლო დაწესებულებებში უკვე ჩატარებული და სამომავლოდ გათვალისწინებული სამართლებრივი საკვლევაძიებო სამუშაოების შესახებ.

— მეცნიერ-იურისტთა და საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა სხვა დარგების წარმომადგენელთა (სახელდობრ, ფსიქოლოგების, ფილოსოფოსების, ეკონომისტების) რესპუბლიკურ შეხვედრაათა ადგილების პერიოდული ურთიერთშენაცვლება. სექციის სხდომის მონაწილე სოხუმელმა ამხანაგებმა წამოაყენეს წინადადება, რომ მეცნიერ-იურისტთა მომდევნო რესპუბლიკური შეხვედრა მოეწყოს ქ. სოხუმში.

— რესპუბლიკის რეგიონების იურიდიული პროფილის სამეცნიერო-

კვლევით და სასწავლო დაწესებულებებს შორის კონტაქტების გაშლა-გაფართოება (საკვლევადიებო გეგმების ურთიერთშეთანხმება, ერთობლივი სამუშაოების განხორციელება, მეცნიერ მუშაკთა მიწვევა სტუდენტებისათვის ლექციების წასაკითხავად).

— მეცნიერ-იურისტთა რესპუბლიკური შეხვედრის კრებისით მასალების პუბლიკაცია. ამით ფართო საზოგადოებრიობისათვის ხელმისაწვდომი გახდება რესპუბლიკის სამართლისმცოდნეთა ცხოვრებაში ამ ფრიად ღირსშესანიშნავი ღონისძიების მნიშვნელოვანი შედეგები.

— პრაქტიკასთან მეცნიერ-იურისტთა ქმედითი კავშირის გაძლიერება; მეცნიერ-იურისტთა მეტი ძალების ჩართვა პრაქტიკაში წამოჭრილი აქტუალური სამართლებრივი საკითხების შესწავლის საქმეში. ამ მიმართულებით ამჟამად დასაქმებული კადრები აშკარად არასაკმარისია. საჭიროა შეიქმნას მართვის სამართლებრივი პრობლემების შემსწავლელი მძლავრი სამეცნიერო აპარატი.

— მეცნიერ-იურისტთა თავიდანვე ჩაბმა ეკონომიკურ-ორგანიზაციული ექსპერიმენტის მომზადებასა და განხორციელებაში (სწორედ დასაწყისში და არა მას შემდეგ, როცა იგი უკვე კარგავს ექსპერიმენტის ხასიათს). ამის გარეშე სუსტდება ექსპერიმენტის სამართლებრივი მხარე, ნათლად ვერ გამოისახება ხოლმე ახლადშექმნილ ორგანოთა იურიდიული სტატუსი, ორგანიზაციისა და საქმიანობის სამართლებრივი საკითხები.

— ნორმატიული აქტების შემუშავება-გამოცემის კულტურის ამაღლება, მეტადრე მათი ქართული ავთენტიკური ტექსტების ენობრივი დახვეწა. მეცნიერ-იურისტთა წვლილის გაზრდა საკანონმდებლო აქტების პროექტების მომზადებაში. საჭიროების შემთხვევაში ასეთი სამუშაოები შეიძლება კიდევ აისახოს სამეცნიერო-კვლევით გეგმებში.

— სახალხო ღებუტატთა საბჭოების საქმიანობის კომპლექსური მეცნიერული შესწავლის გაძლიერება.

— მეცნიერ-იურისტთა მომდევნო რესპუბლიკურ შეხვედრაზე სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისა და სამართლის ფილოსოფიის სექციის შექმნა. აქ უპირატესად წარმოდგენილი იქნება ქართული სამართლის ისტორიისა და ქართულ პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის საკითხები, თანამედროვე ბურჟუაზიული სამართლებრივი თეორიების კრიტიკა.

— იურიდიული ყურნალების მუშაობის გაუმჯობესება პირუთვნელი მეცნიერული კრიტიკის გაშლა-დანერგვის ვხით, რაც გამორიცხავს ვიწრო, პირად ანგარიშსწორებას.

აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიულ-იურიდიული ფაკულტეტის სამართლის თეორიის, ისტორიისა და სახელმწიფო სამართლის კათედრის წარმომადგენლებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ ფართო პროფილის იურიდიულ კადრებზე მოთხოვნილების გათვალისწინებით აფხაზეთის უნივერსიტეტის ისტორიულ-იურიდიულ ფაკულტეტს დამოუკიდებელი ფაკულტეტის სახით გამოეყოს იურიდიული ფაკულტეტი.

სექციის სხდომის მონაწილეთა ერთსულოვანი აზრით, საქართველოს მეცნიერ-იურისტთა შეხვედრა უაღრესად დროული ღონისძიებაა, რომელიც მომავალშიც აუცილებლად უნდა გაგრძელდეს. იგი უდავოდ გაზრდის რესპუბლიკის მეცნიერ-იურისტთა წვლილს პარტიის მიერ დასახული ამოცანების შესრულებაში. შეხვედრის ზოგიერთი დადებითი შედეგი უკვე მისი



მსვლელობის პროცესშივე გამოიკვეთა. წამოიჭრა ახალი საკითხები და დაიწყო სახა საინტერესო კვლევა-ძიების პერსპექტივები. აღსანიშნავია აგრეთვე რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონებში მომუშავე სამართლისმცოდნეთა ურთიერთგაცნობა, პიროვნული კონტაქტების დამყარება.

სამართლის თეორიის, სახელმწიფო სამართლისა და საბჭოთა აღმშენებლობის სექციის სხდომის მონაწილეებმა ღრმა მადლიერების გრძნობით მოიხსენიეს საქართველოს მეცნიერ-იურისტთა შეხვედრის ინიციატორი — რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ორგანიზატორები — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო და პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტი, ქუთაისელი მასპინძლები, რომლებმაც უზრუნველყვეს ნაყოფიერი მუშაობის პირობები.


ი. ფუტყარაძე

ჩვენ იუბილარები

სამგლარი მეცნიერი

(აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადების 80 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 55 წლისთავის გამო)

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადო მოღვაწეობისათვის, სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის და დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის განყოფილების გამგე აშხ. პაატა ბესარიონის ძე გუგუშვილი დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.



პ. გუგუშვილი დაიბადა 1905 წ. 15 (ახ. სტ. 28) სექტემბერს სოფელ კოდორში (აბაშის რაიონი). საშუალო განათლება მიიღო ქ. ფოთისა და ქ. ქუთაისის გიმნაზიებში. 1927 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტი ეკონომისტ-ფინანსისტის სპეციალობით. სტუდენტობის დროიდან ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებს ნარკვევებს, სტატიებს, რეცენზიებს. ცალკე წიგნად მისა ნაშრომი პირველად გამოიცა 1929 წელს „ქართული წიგნი 1629-1929 წწ“. — ქართული სტამბის წიგნის 300 წლისთავისადმი მიძღვნილი სტატისტიკურ-ეკონომიკური მონოგრაფია.

მრავალმხრივი და მრავალფეროვანია აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მოღვაწეობა. მისი ინტერესთა სფერო მოიცავს ეკონომიკას, ისტორიას, სოციოლოგიას, კულტურას, ჟურნალისტიკას, ეკონომიკურ ტერმინოლოგიას. მისი ხელმძღვანელობით მრავალმა მეცნიერმა დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კო-

მიტეტის ხელმძღვანელობით და მისი დაუცხრომელი მოღვაწეობით შეიქმნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი, რომელიც დიდ როლს ასრულებს ეკონომიკის მეცნიერების განვითარების, კადრების მომზადების, სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემების დამუშავებაში.

პ. გუგუშვილის კვლევა ეკონომიკისა და სოციალური პრობლემების დარგში წარმოდგენილია მის მონოგრაფიათა ტომეულებში სახელწოდებით „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს.“. დღემდე გამოცემულია შვიდი ტომი, რაც შეიცავს სულ 5300 გვერდს და 70-ზე მეტ მონოგრაფიას. პრობლემურად და თემატურად ამათ მიეკუთვნება აგრეთვე მისი „კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში“ (1941, თბ., 470 გვერდი).

ავტორი მონოგრაფიების ამ ტომეულებში განიხილავს საქართველოს რუსეთთან შეერთების, საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების, ასევე მეურნეობის, მისი ცალკეული დარგებისა და კულტურების კვლევის, სოციალური ძვრებისა და გარდაქმნების, საშინაო და საგარეო საქონელმომოქცევის განვითარებისა და ტყვეებით ვაჭრობის, კრედიტისა და ფულის მიმოქცევის, მრავალწახანაგოვან აგრარულ ურთიერთობათა და სხვა საკითხებს.

აკადემიკოსმა პ. გუგუშვილმა ღრმად გააანალიზა ფეოდალიზმის რღვევისა და კაპიტალისტურ ურთიერთობათა წარმოშობის, განვითარების პროცესი საქართველოსა და ამიერკავკასიაში. მოგვცა სრული სურათი იმისა, თუ როგორ წარმოიშვა კაპიტალისტურ-მემამულური ეკონომიკური ცხოვრების განვითარებასთან ერთად კაპიტალიზმის მესაფლავე — სამრეწველო პროლეტარიატი, როგორ ჩამოყალიბდა იგი „კლასად თავისთვის“ საწარმოო ძალებსა და წარმოებათა ურთიერთობებს შორის ანტაგონიზმის, კოლიზიების საფუძველზე; თუ როგორ მომზადდა სოციალისტური რევოლუცია, რომელმაც დაამსხვრია ექსპლოატატორთა წყობილება და გზა გაუხსნა თვისებრივად ახალ, სოციალისტურ ცივილიზაციას.

მეტად ყურადსაღებია ის გარემოება, რომ პ. გუგუშვილი საქართველოს ეკონომიკას იკვლევს რუსეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებასთან მიმართებაში, თავიდანვე წარმოაჩენს ეროვნულისა და ინტერნაციონალურის ურთიერთგადაჯავშულ ხასიათს.

აკადემიკოს პ. გუგუშვილის მონოგრაფიების შვიდტომეული დაწერილია მაღალ მეცნიერულ დონეზე, შემოქმედებითი ძიების მარქსისტული მეთოდოლოგიის გამოყენებით. ამ გამოკვლევებმა შეავსო საქართველოს ეკონომიკური განვითარების ისტორია.

1959 წელს სოციოლოგთა მეოთხე მსოფლიო კონგრესის მუშაობაში პირველად მიიღო მონაწილეობა საბჭოთა დელეგაციამ. პ. გუგუშვილი ამ დელეგაციის წევრი იყო. კონგრესზე წაკითხული მისი მოხსენება — „მრეწველობის ფორმათა სოციოლოგიური კლასიფიკაცია“, — ერთ-ერთ საუკეთესოდ აღიარეს და ქართველი მეცნიერი იქვე აირჩიეს მსოფლიო სოციოლოგიური ასოციაციის საბჭოს და აღმასკომის წევრად. მას შემდეგ პ. გუგუშვილი სის-

ტემატურად მონაწილეობს ეკონომისტთა და სოციოლოგთა მსოფლიო კონგრესის, აგრეთვე სხვა საერთაშორისო სიმპოზიუმებისა და კონფერენციების მუშაობაში. მისი მოხსენებები გამოქვეყნებულია მშობლიურ, რუსულ და მრავალ უცხოურ ენაზე.

3. გუგუშვილმა მრავალი შრომა გამოაქვეყნა ხალხთომოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია — „საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები“ (თბ., 1973 წ.) ამ მონოგრაფიის ვრცელი რეზიუმე რუსულ ენაზე სსრ კავშირის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ გამრავლა და სათანადო მითითებებით დაუგზავნა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ყველა სტატისტიკურ ორგანოსა და ბიბლიოთეკას.

დიდა პ. გუგუშვილის დამსახურება ქართული სოციალურ-ეკონომიკური ტერმინოლოგიის შემუშავების სფეროში. ამ საქმეს ხელი მან ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს მოჰკიდა. 1947 წელს ეკონომიკისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტების გრიფით გამოვიდა „ეკონომიკის ტერმინოლოგია“ (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული). შემდგენელი — პ. გუგუშვილი და პ. კუჭაიძე

პ. გუგუშვილმა მრავალი შრომა მიუძღვნა მე-19 საუკუნის ქართულ პუბლიცისტიკას. კერძოდ, „ჟურნალისტიკა“, ტომი პირველი (1941), „კარლ მარქსი ქართულ პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრიობაში“. დეაწლმოსილ მკვლევარს გამოქვეყნებული აქვს მრავალი საჟურნალო და საგაზეთო სტატია. წლების მანძილზე რედაქტორობდა „საქართველოს ეკონომისტს“, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის აქტუალური პრობლემების დამუშავებაში, კადრების აღზრდასა და მომზადებაში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ ახლახან გამოსცა აკადემიკოს პ. გუგუშვილის მონოგრაფიების VII ტომი, რომელიც მთლიანად მიეძღვნა „ქართული სტამბის წიგნს — (1629-1979). მასში მოცემულია ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია 350 წლის მანძილზე. წიგნის მოცულობა 52 საღარიცხვო-საგამომცემლო თაბახია. ამ შესანიშნავი მონოგრაფიიდან ვგებულობთ, რომ წიგნისა და ბეჭდვითი სიტყვის მოსახლეობის ერთ სულზე განაწილების მხრივ საქართველოს სსრ მსოფლიოს ყველაზე მოწინავე ერთა შორისაა.

პ. გუგუშვილის კალამს ეკუთვნის სახალხო მეურნეობის ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები. იგი რედაქტორია პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოსი, თანაავტორი და რედაქტორია წიგნისა „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა“ და ა. შ. ამჟამად იგი ხელმძღვანელობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სოციოლოგიისა და დემოგრაფიის განყოფილებას, არის მრავალი სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალების „ეკონომისტისა“ და საქართველოს სსრ მეც-

ნიერებათ აკადემიის „მაცნეს“ ეკონომიკისა და სამართლის სერიის სარედაქციო კოლეგიების წევრი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი კოლეგიის წევრი და ეკონომიკური სექციის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ხალხთმოსახლეობის (დემოგრაფიის) სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და ა. შ.

აკადემიკოს პ. გუგუშვილის მოღვაწეობა აღინიშნა მთავრობის ჯილდოებით.

ეურნალ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნეს“ ეკონომიკისა და სამართლის სერიის რედაქცია ულოცავს ღვაწლმოსილ მეცნიერს — აკადემიკოს პაატა გუგუშვილს, დაბადების 80 წლისთავს და უსურვებს ხანგრძლივ შემოქმედებითს სიცოცხლეს.

6 193/35

ფასი 85 კპ.

ინდექსი

7619
საქართველოს
ბიბლიოთეკა

